ლიბერთი
ბანკი ყველგან და ყველასთვის

# პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

დამტკიცებულია სს „ლიბერთი ბანკის" დირექტორთა
საბჭოს 2019 წლის 12 მარტის #411 სხდომის ოქმით / ბოლო ცვლილებები განხორციელებულია იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 29 მაისის ბრძანებით

# შინაარსი


1. შესავალი .......... 3
2. ტერმინთა განმარტებები .......... 3
3. განცხადებები და გარანტიები .......... 5
4. გადახდები  პოს-ტერმინალის საშუალებით .......... 5
5. დამატებითი მოთხოვნები კლიენტისთვის რომელიც წარმოადგენს აზარტული თამაშების ორგანიზატორს .......... 8
6. პრეავტორიზაციის ფუნქციონალის გააქტიურება .......... 8
7. სამადლობელი თანხა - „თიფი" .......... 8
8. ყალბი და მალადაკარგული სავაჭრო ქვითრები .......... 9
9. სარეზერვო ანგარიში .......... 9
10. მომსახურების ტარიფები და პირობები. შედარების აქტი .......... 9
11. პასუხისმგებლობა .......... 9
12. ინტელექტუალური საკუთრება და მარკეტინგული თანამშრომლობა .......... 10
13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა .......... 11
14. გადასახადები .......... 11
15. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა .......... 11
16. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია .......... 11
17. ხელშეკრულების ცვლილება .......... 13
18. ფორს-მაჟორი .......... 13
19. კომუნიკაცია .......... 13
20. დასკვნითი დებულებები .......... 13
21. დანართი №1 უსაფრთხოების ნორმები და ბარათის მიღების ინსტრუქცია .......... 15

## 1. შესავალი

1.1 წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** სტანდარტულ პირობებს (შემდგომში „**სტანდარტული პირობები**“), რომელიც განსაზღვრავს **პოს-ტერმინალის** მეშვეობით გადახდის ოპერაციების წარმოების აღწერილობას და **მხარეთა** უფლება-მოვალეობებს აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის პროცესში.

1.2 **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობები რეგულირდება **ხელშეკრულებით**, რომელიც შედგება:

1.2.1. **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებისგან**;

1.2.2. **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფებისგან**, რომელიც წარმოადგენს **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** დანართს;

1.2.3. **პოს-ტერმინალის მოხმარების ინსტრუქციისგან,** რომელიც წარმოადგენს **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** დანართს და ხელმისაწვდომია **ბანკის** ვებგვერდზე - www.libertybank.ge ან/და გადაეცემა **კლიენტს პოს-ტერმინალის** მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად (შემდგომში „**პოს-ტერმინალის მოხმარების ინსტრუქცია**“);

1.2.4. წინამდებარე **სტანდარტული პირობების** და მისი დანართ(ებ)ისგან;

1.2.5. ნებისმიერი დამატებითი პირობებისაგან, დანართისაგან ან/და განაცხად(ებ)ისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება არსებულ ან/და **ბანკის** მიერ მომავალში შეთავაზებულ მომსახურებას და რომელიც საჭირო იქნება **კლიენტის** მიერ დამატებითი და/ან წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული საბანკო მომსახურებ(ებ)ით სარგებლობისათვის.

1.3. **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით, **კლიენტი** ვალდებულია:

1.3.1. ყველა სახის მომსახურების გამოყენებისათვის გაეცნოს წინამდებარე **სტანდარტულ პირობებს;**

1.3.2. ხელი მოაწეროს **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებას,** რითაც იმავდროულად ადასტურებს, და გარანტიას იძლევა, რომ: (ა)მის მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი; (ბ) **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** ხელმოწერამდე სრულად გაეცნო წინამდებარე **სტანდარტულ პირობებს**;

1.3.3. იდენტიფიცირების მიზნით, წარმოუდგინოს **ბანკს კანონმდებლობით** ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია.

1.4. **ბანკი** იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, თუ **კლიენტმა** სათანადო წესით არ შეავსო, ხელი არ მოაწერა ან **ბანკს** არ წარუდგინა **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი **ბანკისათვის** მისაღები ფორმით და შინაარსით.

1.5. **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** მომსახურებას **მხარეთა** მიერ **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** ხელმოწერისა და **ბანკის** მხრიდან მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. ამასთან, **ბანკს** უფლება აქვს, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მოაწეროს ხელი **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებას** და უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, მიზეზის გაცხადების გარეშე.

1.6. **ბანკს** უფლება აქვს შეამოწმოს **კლიენტის** მიერ მისთვის (ბანკისათვის) მიწოდებული ან/და **კლიენტის** შესახებ ნებისმიერი სხვა გზით მოპოვებული ინფორმაცია, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.

1.7. **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე **სტანდარტულ პირობებში** გათვალისწინებული წესები ან/და **ხელშეკრულების** სხვა შემადგენელ დოკუმენტებში მოყვანილი წესები, პირობები ან/და ტარიფები იმისათვის, რომ ისინი (პირობები) შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და მარეგულირებელ კანონმდებლობასთან.

1.8. წინამდებარე **სტანდარტული პირობების** განახლების/ცვლილებების შესახებ **კლიენტს** ეცნობება **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, ხოლო თუ **ბანკი** განახორციელებს დამატებითი პროდუქტის პირობების ჩამოყალიბებას/მომსახურების ჩართვას, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა მოხდება შესაბამისი **განაცხად(ებ)ის** შევსების ან/და შესაბამისი **დანართ(ებ)ის კლიენტისთვის** მიწოდების საფუძველზე ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა წესით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **კლიენტის** ელექტრონული თანხმობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი კლიენტს** არ გადასცემს შესაბამის **დანართს** ან **კლიენტი** არ გაეცნობა განახლებულ პირობებს, მაგრამ **კლიენტი** განახორციელებს/გააგრძელებს ახალი ან განახლებული პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობას იგულისხმება, რომ იგი აღნიშნული ქმედებით ეთანხმება იმ დროისათვის **ბანკში** არსებულ შესაბამისი მომსახურების პირობებს.

## 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. თუ წინამდებარე **სტანდარტული პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (პირობების) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. **ავტორიზაცია** - **ემიტენტის** მიერ ნებართვის გაცემა **საბანკო ბარათის** მეშვეობით **გარიგების** თანხის გადახდისათვის ოპერაციის განხორციელებაზე, რომელიც განკუთვნილია **ემიტენტისგან** ოპერაციის დასტურის მისაღებად. ავტორიზაცია არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს იმის დადატურებას, რომ **ბარათის** წარმომდგენი პირი არის **ბარათის** უფლებამოსილი მფლობელი. ავტორიზაცია ასევე არ წარმოადგენს იმის დასტურს, რომ **ტრანზაქცია** ყველა შემთხვევაში ჩაითვლება ნამდვილად და არც ერთ შემთხვევაში არ გახდება სადავო;

2.1.2. **ამონაწერი** - **ბანკში** დადგენილი ფორმით შედგენილი ინფორმაცია **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ **კლიენტის** ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ;

2.1.3. **აზარტული თამაშები** - თამაშობები, რომელთა შედეგი მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე. ისინი ტარდება ბანქოს, კამათლის, სათამაშო ბორბლის (რულეტის), სათამაშო აპარატის ან/და სხვა სათამაშო ინვენტარის მეშვეობით და მათში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა;

2.1.4. **აზარტული თამაშების ორგანიზატორი** - **კლიენტი**, რომელსაც შესაბამისი ნებართვის საფუძველზე აქვს უფლება მოაწყოს აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშები;

2.1.5. **არასამუშაო დღე** - შაბათი, კვირა, და აგრეთვე ნებისმიერი დღე, რომელიც, **კანონმდებლობის** შესაბამისად, არის ან გამოცხადდება არასამუშაო (უქმე) დღედ;

2.1.6. **არასანქცირებული ოპერაცია / არასანქცირებული ტრანზაქცია** - **ბარათის მფლობელის** თანხმობის გარეშე **ბარათით** შესრულებული ნებისმიერი **ტრანზაქცია**;

2.1.7. **ბანკი** - სს “ლიბერთი ბანკი” (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** მხარეს;

2.1.8. **ბათილი ოპერაცია / ბათილი ტრანზაქცია** - **მომხმარებლის** მიერ განხორციელებული ოპერაცია, რომლებიც ბათილად არის მიჩნეული **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** ან/და შესაბამისი საგადახდო/კლირინგის სისტემის მონაწილე მხარის მიერ;

2.1.9. **ბარათის მფლობელი** - ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილია გამოიყენოს **საბანკო ბარათი ემიტენტთან** გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე;

2.1.10. **განაცხადი** - **ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის, გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისთვის** მიწოდებული წერილობითი ან ციფრული ინფორმაცია, რომელსაც **კლიენტი** ეთანხმება ხელმოწერით ან/და ელექტრონული ფორმის დადასტურებით, ქმედებით (ელექტრონული თანხმობა) რაც ადასტურებს მის (კლიენტის) ნებას და ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების / ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.1.11. **გარიგება** - **კლიენტსა** და **მომხმარებელს** შორის დადებული გარიგება საქონლის/მომსახურების შეძენაზე, რომელზეც ანგარიშსწორებები ხორციელდება წინამდებარე **სტანდარტული პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში;

2.1.12. **გარიგების თანხა** - ფულადი თანხები, რომლებიც დადებული **გარიგებებისა** და წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად გადახდილი უნდა იქნას **კლიენტისთვის მომხმარებლის** მიერ შეძენილი **საქონლის/მომსახურების** ღირებულების ასანაზღაურებლად;

2.1.13. **გაუქმების ოპერაცია / გაუქმების ტრანზაქცია (Reversal)** - **მომხმარებლის** ფულადი სახსრების დაბრუნების ოპერაცია, როდესაც **კლიენტს** არ შეუძლია მისი დაკვეთის შესრულება, ან **კლიენტის** მიერ ოპერაცია განხორციელდა შეცდომით. **გაუქმების ოპერაცია** შესაძლებელია შესრულდეს შესაბამის **პოს-ტერმინალზე დღის დახურვამდე**;

2.1.14. **დაბრუნების ოპერაცია / დაბრუნების ტრანზაქცია (Refund)- მომხმარებლისთვის** ფულადი სახსრების დაბრუნების ოპერაცია, რომლის ინიცირებას ახდენს **კლიენტი მომხმარებლის** მიერ საქონლის დაბრუნების ან/და მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასევე ტექნიკური ხარვეზის შედეგად შესრულებული ოპერაციის დაბრუნების მიზნით;

2.1.15. **დავალება** - ნებისმიერი მოთხოვნა ან დავალება, რომელსაც **კლიენტი** აძლევს **ბანკს** უშუალოდ ან/და დისტანციური საბანკო მომსახურების გამოყენებით, წვდომის კოდ(ებ)ის საშუალებით **ბანკში** გამოგზავნის გზით, **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად;

2.1.16. **დანართი** - ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტ(ებ)ი, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და მის პირობებს და წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;

2.1.17. **დღე** - 24 (ოცდაოთხი) ასტრონომიული საათისა და 00 წუთის შემცველი და საქართველოს დროით გამოთვლილი კალენდარული დღე;

2.1.18. **დღის დახურვა** - ავტომატური პროცესი ყოველი კალენდარული დღის 23:30 საათზე რის შედეგადაც **საპროცესინგო სისტემაში** იგზავნება წინა 24 საათის განმავლობაში **პოს-ტერმინალზე** შესრულებული ოპერაციები;

2.1.19. **ელექტრონული ფოსტა** - **მხარეთა** ავტორიზებული ელექტრონული საფოსტო მისამართ(ებ)ი. ავტორიზებულ ელექტრონულ საფოსტო მისამართებად ჩაითვლება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული საკომუნიკაციო ელ. ფოსტის მისამართი, ხოლო თუ **მხარეებმა ხელშეკრულებით** არ განსაზღვრეს

საკომუნიკაციო ელექტრონული ფოსტის მისამართი, მაშინ **ბანკისათვის** - **ბანკის** ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული ფოსტის მისამართი, ხოლო **კლიენტისათვის** - **განაცხადში** დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართი;

2.1.20. **ემიტენტი** - საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საბანკო ბარათების გამოშვებას და **ბარათის მფლობელისთვის** გადაცემას შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე;

2.1.21. **თოქენი** - საერთაშორისო საგადახდო სისტემის სერვისი, რომლითაც 16 ნიშნა PAN საბარათე მონაცემი გარდაიქმნება უნიკალურ იდენტიფიკატორად - თოქენად და გადახდის ოპერაცია ხორციელდება აღნიშნული თოქენის გამოყენებით ბარათის მონაცემის გამოყენების გარეშე;

2.1.22. **ინტელექტუალური საკუთრების უფლება** - გულისხმობს ნებისმიერ (i) საავტორო უფლებას, პატენტს, ნოუ-ჰაუს, დომენის სახელებთან დაკავშირებულ უფლებებს, სავაჭრო ნიშნებთან დაკავშირებულ უფლებებს, სავაჭრო სახელებს, მომსახურების მარკას და დიზაინს (მიუხედავად იმისა, არის თუ არა ისინი რეგისტრირებული), (ii) რომელიმე ზემოთჩამოთვლილის რეგისტრაციისთვის შეტანილ განცხადებას ან რეგისტრაციაზე განცხადების შეტანის უფლებას და (iii) ყველა სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ან მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ამის ექვივალენტური ან მსგავსი დაცვის ნებისმიერ სხვა ფორმას;

2.1.23. **ინციდენტური ციკლი** - საბარათე ოპერაცი(ებ)ის შესრულების გარემოებათა დაზუსტების მიზნით, ანგარიშსწორების მონაწილე მხარეებს შორის საანგარიშსწორებო-ფინანსური და სხვა ოპერაციების მიმოცვლის პროცესი;

2.1.24. **კლიენტი** - პირი, რომელიც სარგებლობს **პოს ტერმინალით** წინამდებარე **სტანდარტული პირობების** შესაბამისად;

2.1.25. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

2.1.26. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** დადების ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია / დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია / დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, მხარის მფლობელი / მმართველი / ურთიერთდაკავშირებული **პირ(ებ)ის**, **მესამე პირ(ებ)თან** არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის / პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია / დოკუმენტაცია;

2.1.27. **ლოიალობის პროგრამა** - **ბანკის** მიერ **მომხმარებლისათვის**, **ბარათით** გადახდის ოპერაციების განხორციელებისას შეთავაზებული **ფასდაკლება** ან/და **Cashback.**

2.1.28. **ლოკალური ბარათი** - **ბანკის** მიერ, **პარტნიორი ბანკების** ან/და **პარტნიორი საგადახდო მომსახურების პროვაიდერების** მიერ ემიტირებული, ლოკალური საგადამხდელო სისტემის ბარათი, რომელიც წარმოადგენს საანგარიშსწორებო საშუალებას **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ოპერაციების განხორციელებისთვის;

2.1.29. **მესამე პირ(ებ)ი** - ნებისმიერი **პირი,** რომელიც არ წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

2.1.30. **მიღება-ჩაბარების აქტი / მიღება-ჩაბარება** - **მხარეთა** შორის გაფორმებული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** დანართს და შემადგენელ ნაწილს და რომლითაც დგინდება **ტერმინალის** (მათ შორის **ტერმინალის** აქსესუარების) **კლიენტისათვის** გადაცემა, მონტაჟი, დემონტაჟი ან/და **ბანკისათვის** დაბრუნების ფაქტი;

2.1.31. **მობილური ტელეფონი** ან **ტელეფონი** - ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული ტელეფონი;

2.1.32. **მომხმარებელი** - ნებისმიერი პირი, რომელიც **კლიენტთან** ან/და **ბანკთან** გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს **კლიენტის** ან/და **ბანკის** მომსახურებ(ებ)ით/პროდუქტებით;

2.1.33. **მხარე / მხარეები** - **ბანკი** ან/და **კლიენტი** დამოუკიდებლად ან ერთობლივად (კონტექსტის შესაბამისად);

2.1.34. **ობიექტი** - **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებით** ან/და **განაცხად(ებ)ით** განსაზღვრული **კლიენტის** ტერიტორია/მისამართი, სადაც განთავსდება **პოს ტერმინალი** და ადგილი ექნება **პოს ტერმინალით** სარგებლობას;

2.1.35. **პარტნიორი ბანკი/პარტნიორი საგადახდო მომსახურების პროვაიდერი** - კომერციული ბანკ(ებ)ი ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ი, რომლებიც **ბანკთან** დაკავშირებული არიან ურთიერთთანამშრომლობის გარიგებით და რომელთა ჩამონათვალი განთავსებულია ვებ-გვერდზე www.libertybank.ge.

2.1.36. **პირი / პირები** - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული / არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;

2.1.37. **პოს-ტერმინალი** ან **ტერმინალი** - **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობა, რომელიც ახორციელებს **გარიგების** თანხის და ბარათზე არსებული ინფორმაციის გადაცემას **საპროცესინგო სისტემისთვის, ტრანზაქციის** შესრულების მიზნით;

2.1.38. **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულება** - **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება **პოს ტერმინალით** მომსახურების თაობაზე, რომლის **დანართსაც** წარმოადგენს წინამდებარე **სტანდარტული პირობები**.

2.1.39. **რეზერვი / დეპოზიტი** - **ბანკის** მიერ **კლიენტის** მიმართ არსებული მოთხოვნ(ებ)ის უზრუნველსაყოფად **ბანკის** მიერ დადგენილი თანხა, რომლის გამოყენების უფლებაც **კლიენტს** ექნება შეზღუდული გარკვეული პერიოდის მანძილზე და რომლის ოდენობაც განისაზღვრება **ტარიფებით.** აღნიშნული თანხის ოდენობა და გამოყენების შეზღუდვის ვადა **ბანკის** ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შესაძლოა ნებისმიერ დროს შეიცვალოს;

2.1.40. **საბანკო ბარათი** ან **ბარათი** – შესაბამისი **ემიტენტის** მიერ გამოშვებული **საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის** ან ადგილობრივი საგადახდო სისტემის **საბანკო ბარათი** ან **თოქენი**, რომელიც წარმოადგენს საანგარიშსწორებო საშუალებას **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ოპერაციების განხორციელებისთვის;

2.1.41. **საბანკო დღე** - დღე (შაბათის ან კვირის გარდა), რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ითვლება სამუშაო დღედ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის;

2.1.42. **საბარათე ანგარიში** - **ემიტენტის** მიერ გახსნილი **მომხმარებლის** პერსონალური საბანკო ანგარიში, რომელზეც აისახება სადებეტო და საკრედიტო ბარათებით შესრულებული ოპერაციები;

2.1.43. **საგადახდო დავალება** - **კლიენტის** ან/და **მომხმარებლის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული დავალება, რომელიც წარმოადგენს ანგარიშსწორების მონაწილეთა შესაბამის ანგარიშზე ოპერაციების შესრულების საფუძველს;

2.1.44. **სადავო ოპერაცია / სადავო ტრანზაქცია** - ოპერაცია, რომლის გასაჩივრება ხდება **ემიტენტსა** და **ბარათის მფლობელს** შორის არსებული შეთანხმებით განსაზღვრული პროცედურით, კერძოდ **ემიტენტი** საერთაშორისო სისტემის წესების შესაბამისად ასაჩივრებს შესრულებულ ოპერაციას და უკან ითხოვს ოპერაციის მთლიან ან ნაწილობრივ თანხას ექვაიერი ბანკისაგან. ლოკალური ოპერაციის შემთხვევაში სადავო ოპერაციის წარმოების პროცედურა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან/და **ემიტენტს** და ექვაიერ ბანკს შორის ურთიერთშეთანხმებით;

2.1.45. **სადავო ოპერაციის დოკუმენტი** - **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** რეგულაციებით დადგენილი სადავო პროცესისათვის დამხმარე საბუთი ან ინფორმაცია (როგორიცაა **სავაჭრო ქვითარი**, **მომხმარებლის** მონაცემები, **ტრანზაქციის** დამატებითი აღწერა, **კლიენტის** ინვოისი/ანგარიში, ნებისმიერი დოკუმენტის ჩანაწერი, **კლიენტის** წერილი და ა.შ.);

2.1.46. **საერთაშორისო ბარათი** - **ბანკის**, **პარტნიორი ბანკების**, ან/და **პარტნიორი საგადახდო მომსახურების პროვაიდერების** ან/და სხვა სახის საერთაშორისო ემიტენტების მიერ ემიტირებული საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის ბარათი ან/და ყველა სხვა სახის საბანკო ბართი რომელიც წარმოადგენს სააგნარიშსწორებო საშუალებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოპერაციების განხორციელებისთვის.

2.1.47. **საერთაშორისო საგადახდო სისტემა** - "Visa International", „Mastercard", "Union Pay International" ან/და სხვა ალტერნატიული საგადახდო სისტემა, რომელიც საერთო წესების და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობით უზრუნველყოფს ავტორიზაციას, ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაციებს და შესაბამის ანგარიშსწორებას - კლირინგს;

2.1.48. **საეჭვო ოპერაცია / ტრანზაქცია - ავტორიზაცია** ან **ტრანზაქცია**, რომლის კანონიერების შესახებ არსებობს დასაბუთებული ეჭვი **ბანკში** არსებული უსაფრთხოების პოლიტიკიდან გამომდინარე და/ან ხორციელდება უკანონო შემოსავლების ლეგალიზებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ან ლოკალურ სტოპ სიაში მოხვედრილი პირის მიერ და/ან **ავტორიზაცია** ან **ტრანზაქცია**, რომელიც ეწინააღმდეგება უკანონო შემოსავლების ლეგალიზების აღკვეთასთან დაკავშირებით არსებულ საერთაშორისო რეგულაციებს, საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნებს ან/და **ბანკის** ან/და **კლიენტის** მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და პროცედურებს. ოპერაცია შეიძლება მიჩნეული იქნას საეჭვოდ მონიტორინგის სისტემაში **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესების საფუძველზე ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა არაბუნებრივი აქტივობა, ერთი **ბარათით** **ტრანზაქციის** რამდენიმე მცდელობა და ა.შ;

2.1.49. **საერთაშორისო საგადახდო სისტემის რეგულაცია - საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ შემუშავებული და საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში მონაწილეობისთვის დადგენილი აუცილებელი ნორმები, რომელშიც ცვლილების შეტანა ხორციელდება პერიოდულად **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე;

2.1.50. **საერთაშორისო ტრანზაქცია** - **ტრანზაქცია**, რომელიც შესრულებულია **საბანკო ბარათით**, რომლის **ემიტენტი** არ არის საქართველოს რეზიდენტი საფინანსო დაწესებულება;

2.1.51. **სავაჭრო ქვითარი** ან **ქვითარი** - ბარათით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ბეჭდავს **პოს-ტერმინალი** ორ იდენტურ ასლად.

2.1.52. **საკომისიო –** გაწეული მომსახურებისთვის **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** გადასახდელი თანხები **ტარიფების** შესაბამისად;

2.1.53. **სამუშაო დღე -** (არასამუშაო დღეების გამოკლებით) დროის პერიოდი 9:00-დან 18:00 სთ -მდე;

2.1.54. **საპროცესინგო სისტემა** - **ბანკის** საგადახდო სისტემა, რომელიც საერთო წესების და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობით უზრუნველყოფს ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაციების ან ტრანსფერ ორდერების დამუშავებას და შესაბამის ანგარიშსწორებას - კლირინგს;

2.1.55. **სარეზერვო ანგარიში** - **კლიენტის ბანკში** არსებული ანგარიში, რომელზეც განთავსდება **რეზერვი;**

2.1.56. **საქონელი / მომსახურება - კლიენტის** საქონელი/მომსახურება, რომელსაც **კლიენტი** ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე ან მის გარეშე;

2.1.57. **სტანდარტული პირობები** - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი **პოს ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები** , რომელიც წარმოადგენს ერთიანი **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია **ბანკის** ვებგვერდზე: www.libertybank.ge;

2.1.58. **ტარიფი/ტარიფები** - **ხელშეკრულებით** ან/და **ხელშეკრულების** შესაბამისი დანართით განსაზღვრული, **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფ(ებ)ი;

2.1.59. **ტრანზაქცია** - **ავტორიზაციის** და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს ოპერაციების ინიციარებას/განხორციელებას **ბანკის პოს-ტერმინალების** საშუალებით;

2.1.60. **ტრანზაქციების არქივი – ბანკის საპროცესინგო სისტემის** მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომელიც ასახავს ელექტრონულ ტრანზაქციების რეესტრში აღრიცხულ ყველა ოპერაციას, **კლიენტის** მოთხოვნით **ბანკის** მიერ შესრულებულ **დაბრუნების ოპერაციებსა** და **გაუქმების ოპერაციებს**, **სადავო ოპერაციების** თანხებს, რომლებიც გამოცხადებულია **საერთაშორისო საგადახდო სისტემით** ინციდენტურ ციკლებში და დაექვითა **ბანკს**, აგრეთვე ასახავს **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** საჯარიმო სანქციებს. **ტრანზაქციის** არქივიდან **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ერთ წელზე ადრე განხორციელებული **ტრანზაქციების** შესახებ ინფორმაციის მიწოდება ექვემდებარება **დანართით** განსაზღვრულ **ტარიფებს**;

2.1.61. **უარყოფილი ოპერაციები – მომხმარებლის** მიერ განხორციელებული ოპერაციები, რომლებიც არ იქნა **ავტორიზებული** რომელიმე მონაწილე მხარის მიერ;

2.1.62. **ფასდაკლება - კლიენტის** მიერ **მომხმარებლისთვის** განსაზღვრული შაღავათის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება **ბანკის** ლოიალობის პროგრამის ფარგლებში, **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** მიხედვით;

2.1.63. **შედარების აქტი** - **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში გასული თვის განმავლობაში შესრულებული გადახდების, **კლიენტის** ბალანსიდან თანხის განაღდების, მიღებული **საკომისიოს** და ელექტრონული არხებით შესრულებული ოპერაციების ფარგლებში **კლიენტის** საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული/ჩამოჭრილი თანხების შედარების მიზნით, **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** გაგზავნილი შესაბამისი დოკუმენტი;

2.1.64. **ხელშეკრულება** - (ა) **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებისა** და მისი **დანართ(ებ)ის**, (ბ) წინამდებარე **სტანდარტული პირობების** და მისი **დანართ(ებ)ის,** ასევე, (გ) ნებისმიერი დამატებითი **განაცხად(ებ)ის, დანართ(ებ)ის** ერთობლიობა, რომელიც დაიდო / დაიდება **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.1.65. **Cashback - კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** გადასახდელი თანხის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება **ბანკის** ლოიალობის პროგრამის ფარგლებში, **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** ან/და მისი **დანართ(ებ)ის** მიხედვით;

2.1.66. **PCI DSS (Payment Card Industry Data Security Standard)** ან **PA DSS (Payment Application Data Security Standard)** ან **Pin Security -** საბარათე უსაფრთხოების სტანდარტები, რომელიც შეიცავს მოთხოვნებს საბარათე მონაცემების უსაფრთხოდ შენახვის, გადაცემის და/ან განკარგვასთან დაკავშირებით და მიზნად ისახავს ორგანიზაციების დახმარებას მომხმარებელთა მონაცემების დაცვის პროცესში;

2.2. **ხელშეკრულებაში** მხოლობით რიცხვში გამოყენებული ტერმინები ან/და სიტყვები უნდა იყოს აღქმული მრავლობით რიცხვშიც (და პირიქით), თუ თავად **ხელშეკრულების** შესაბამისი პირობის კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2.3. სადაც მითითებულია ამ **ხელშეკრულების** "შეწყვეტა", ეს სიტყვა მოიცავს **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის ამოწურვის მნიშვნელობასაც.

## 3. განცხადებები და გარანტიები

3.1. **კლიენტი** წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით და ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების მიღებით/სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:

3.1.1. აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს **ხელშეკრულებას** და შეასრულოს ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.1.2. **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის ხელშეკრულების** დადების/მომსახურების მიღების მიზნით განაცხადის სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია არის ზუსტი, უტყუარი, სრული და **კლიენტი** სრულად აგებს პასუხს მასში მოცემულ ინფორმაციაზე.

3.1.3. წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ოპერაცი(ებ)ის შესრულებით არ დაირღვევა სხვა **ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობები ან კლიენტის სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამ **ხელშეკრულების** პირობებით განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს **კლიენტი;**

3.1.4. **კლიენტი** არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმსა ან სხვა სახის უკანონო საქმიანობაში);

3.1.5. კლიენტს მოპოვებული აქვს და წინამდებარე **ხელშეკრულების** მთელი ვადის განმავლობაში შეინარჩუნებს ყველა ლიცენზიას და ნებართვას რაც აუცილებელია წინამდებარე **ხელშეკრულებით** დადგენილი ნებისმიერი და ყველა ვალდებულების შესრულებისთვის;

3.1.6. მის მიერ **მომხმარებლებისთვის** შეთავაზებული ნებისმიერი და ყველა მომსახურება სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ნებისმიერ იმ იურისდიქციაში რომელიც ვრცელდება **კლიენტზე, ბანკზე** ან/და მათთან დაკავშირებულ პირებზე ან/და **კლიენტის** მიერ წარმოებულ თუ მიწოდებულ პროდუქტსა და მომსახურებაზე.

3.1.7. **კლიენტს** აქვს და წინამდებარე **ხელშეკრულების** მთელი ვადის განმავლობაში შეინარჩუნებს შესაბამის მოწყობილობებს, აპარატურას ან სხვა საშუალებებს (მათ შორის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, შიდა კონტროლის მექანიზმებს და სხვა სახის ტექნიკურ აღჭურვილობას), იმ მიზნით, რომ სრულ შესაბამისობაში იყოს წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ინფორმაციის უსაფრთხოების და კონფიდენციალურობის პირობებთან;

3.1.8. სრულად იცნობს, დაიცავს და შესაბამისობაში იქნება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო რეგულაციებთან.

3.2. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურება ხორციელდება **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** რეგულაციების ფარგლებში და შესაბამისად **ბანკის** მოთხოვნით განსაზღვრულ შემთხვევებში და ფარგლებში **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** რეგულაციები.

3.3. აღნიშნული განცხადებები ძალაშია როგორც ამ **ხელშეკრულების** მთელი ვადის განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდგომაც;

3.4. ამ **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ კლიენტი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ბანკს ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ **ხელშეკრულებაში** მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან;

3.5. წინამდებარე **სტანდარტული პირობების** მე-3 მუხლით განსაზღვრული განცხადებებისა და გარანტიების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება ბანკის უფლება მოითხოვოს ზიანის ანზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) **სამუშაო დღის** განმავლობაში, კლიენტი თანახმაა **ბანკს** აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

## 4. გადახდები პოს-ტერმინალის საშუალებით

4.1. ***<u>მომსახურების ზოგადი პირობები.</u>*** **ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესით და პირობებით **ბანკი** განახორციელებს **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებით** გათვალისწინებული, ასევე **ბანკის** მიერ ნებადართული სხვა ბარათების მომსახურებას **პოს-ტერმინალებით** და მათი საშუალებით **მომხმარებლის** მიერ განხორციელებულ **ტრანზაქციებთან** დაკავშირებულ ანგარიშსწორებას **ბანკსა** და **კლიენტს** შორის.

4.2. **ხელშეკრულების** საფუძველზე, **კლიენტი** უზრუნველყოფს:

4.2.1. ოპერაციების დამუშავებას წინამდებარე **სტანდარტული პირობების** დანართი #1-ში (უსაფრთხოების ნორმები და ბარათის მიღების ინსტრუქცია) აღწერილი პირობების შესაბამისად.

4.2.2. **ბანკისთვის** და/ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლებისთვის ყველა იმ რესურსის შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას, რომელსაც **კლიენტი** იყენებს **საქონლის/მომსახურების** რეალიზებისთვის.

4.2.3. **გარიგების** დამუშავებას 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2.4. **მომხმარებლის** მიერ განხორციელებული ოპერაციების დამადასტურებელი ელექტრონული დოკუმენტის შენახვას საქართველოს კანონმდებლობით საბანკო დაწესებულებებისთვის დადგენილი ინფორმაციის შენახვის ვადების დაცვით, ნებისმიერ შემთხვევაში არანაკლებ 13 (ცამეტი) თვის ვადით იმგვარად, რომ **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტაციის მიწოდება 5 (ხუთი) **სამუშაო დღის** განმავლობაში.

4.3. **ხელშეკრულების** საფუძველზე, **ბანკი** უზრუნველყოფს:

4.3.1. **კლიენტისთვის ტერმინალ(ებ)ის** მიწოდებას **კლიენტის** მიერ შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე. **ტერმინალი** ჩაითვლება გადაცემულად **მხარეთა** მიერ შესაბამისი **მიღება-ჩაბარების აქტის** გაფორმების შემდეგ.

4.3.2. უწყვეტ რეჟიმში **ბარათების** ავტორიზაციას, იმ შემთხვევაში თუ დაცული იქნება წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული, ასევე **ბარათებით** სარგებლობის და მომსახურების **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სარგებლობის წესები.

4.3.3. **პოს-ტერმინალის** და **ბარათების** გამოყენებით განხორციელებულ **გარიგებებზე** ანგარიშსწორებას **ტარიფებით** განსაზღვრული პერიოდულობით. ამასთან, ანგარიშსწორების შესრულებისას **ბანკი კლიენტს** გადაურიცხავს შესაბამის თანხას **საკომისიოს** ან/და **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი გადასახდელის გამოკლებით, **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ **კლიენტის** ანგარიშზე ან ასეთის არარსებობისას **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკი** და **კლიენტი ხელშეკრულების** საფუძველზე შეთანხმდებიან **Cashback**-ის ან **ფასდაკლების** შესახებ, **ბანკი** უფლებამოსილია დააკავოს შესაბამისი თანხა **კლიენტის** ანგარიშიდან ანგარიშსწორების მომენტში ან ჩამოჭრას შესაბამისი თანხა **კლიენტის** ანგარიშიდან. ანგარიშის არქონის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია ანგარიშის გახსნამდე შეაჩეროს ანგარიშსწორება **კლიენტთან** და დაიწყოს, განაახლოს მხოლოდ **ბანკში** ანგარიშის გახსნის შემდეგ;

4.4. ***<u>კლიენტის უფლებამოსილებები.</u>*** **ხელშეკრულების** საფუძველზე, **კლიენტი** უფლებამოსილია:

4.4.1. უფასოდ მიიღოს **ბანკში** დამატებითი კონსულტაციები და განმარტებები **საბანკო ბარათებით** ოპერაციების ჩატარებაზე;

4.4.2. **კლიენტის** მოთხოვნის საფუძველზე და **ხელშეკრულებაში** მითითებულ რეკვიზიტებზე **ტრანზაქციების არქივიდან** უფასოდ მიიღოს **ბანკისგან** უკანასკნელი 1 (ერთი) წლის ინფორმაცია **კლიენტის** ტრანზაქციების შესახებ;

4.4.3. მიმართოს **ბანკს გაუქმებისა** და **დაბრუნების ოპერაციების ბანკის** მხრიდან განსახორციელებლად, რისთვისაც უნდა მიაწოდოს **ბანკს ტრანზაქციის** განსახორციელებლად აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი; **გაუქმებისა** და **დაბრუნების ოპერაცი(ებ)ი** უნდა განხორციელდეს **ბანკის** მიერ განსაზღვრული შესაბამისი წესის/ფორმის შესაბამისად. ამასთან **კლიენტი** უფლებამოსილია **დაბრუნების ოპერაციის** მოთხოვნით მიმართოს **ბანკს ელექტრონული ფოსტის** საშუალებით.

4.4.4. **ბანკში** დადგენილი წესით და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე მოითხოვოს **დავის** გასაჩივრება, თუ **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** რეგულაციების თანახმად მოცემული **დავა** ექვემდებარება გასაჩივრებას და აუნაზღაუროს **ბანკს** აღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

4.4.5. მიიღოს **გარიგების** თანხები ამ **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

4.5. *<u>ბანკის უფლებამოსილებები.</u>* **ხელშეკრულების** საფუძველზე, **ბანკი** უფლებამოსილია:

4.5.1. პერიოდულად, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეამოწმოს **კლიენტის** მიერ საოპერაციო, უსაფრთხოების წესების და წინამდებარე **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების დაცვა. რა მიზნითაც, მათ შორის და არამარტო **კლიენტი** ვალდებულია: (ა) დაუშვას **ბანკის** წარმომადგენელი საკუთარ სამუშაო ადგილას; (ბ) მისცეს საშუალება დაათვალიეროს **პოს-ტერმინალი;** (გ) მიაწოდოს **ბანკს** ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია; (დ) წარუდგინოს **ბანკს** წერილობითი განმარტება მომხმარებლის მიერ წარდგენილ პრეტენზიასთან დაკავშირებით;

4.5.2. **კლიენტისთვის** გადასარიცხი **გარიგების** თანხებიდან და/ან **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას შემდეგი თანხები:

4.5.2.1. **კლიენტის** მიერ ჩატარებული **გაუქმების** და **დაბრუნების**, ასევე **ბათილი ოპერაციების** თანხები;

4.5.2.2. **საგადამხდელო სისტემების** მიერ **ინციდენტურ ციკლებში** ოპერაციების გარემოებათა დაზუსტების შედეგად **ბანკისგან** დაქვითული თანხები, ასევე სხვა ზარალი და ხარჯი რომელიც მიყენებულ იქნა **ბანკისთვის ინციდენტური ციკლების** ჩატარებასთან დაკავშირებით;

4.5.2.3. **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** ჯარიმები **ხელშეკრულების** შესაბამისი დანართით დადგენილი ოდენობით;

4.5.2.4. **ბანკის** მომსახურების **საკომისიო ტარიფების** შესაბამისად;

4.5.2.5. პირგასამტეხლოს თანხები;

4.5.2.6. შეცდომით ჩარიცხული თანხები;

4.5.2.7. ნებისმიერი სხვა თანხა, რომლიც წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე უნდა აუნაზღაუროს **ბანკს კლიენტმა**, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **კლიენტის** მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამო უფლებამოსილი ორგანოს მიერ **ბანკისთვის** დაკისრებულ ნებისმიერ ჯარიმას;

4.5.3. გამოძიების ჩატარებისათვის აუცილებელი პერიოდით, შეაჩეროს ოპერაციების **ავტორიზაციის** შესაძლებლობა; აგრეთვე მოითხოვოს **კლიენტისაგან** ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია **საბანკო ბარათების** გამოყენებით ჩატარებული ნებისმიერი ოპერაციის შესახებ, თუ **ელექტრონული ტრანზაქციების რეესტრის მონაცემებისა** და **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა: (ა) **მომხმარებლების** მიერ **არასანქცირებული ოპერაციების** რაოდენობის მკვეთრი გაზრდა ან/და (ბ) მდგომარეობა, როდესაც წინამდებარე **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული **დავის** შემთხვევების საერთო თანხა უტოლდება ან აღემატება გასული კალენდარული თვის განმავლობაში ჩატარებული გარიგებების საერთო თანხის 1%-ს ან 100 (ასი) ცალს ან/და (გ) მკვეთრად გაიზრდება **ტრანზაქციების** რაოდენობა ან/და თანხა, მიზეზის დადგენამდე (შემოწმების საფუძველზე) ან/და დ) **ბანკს** გაუჩნდა დასაბუთებული ეჭვი ტრანზაქციების **ავტორიზებულობასთან** დაკავშირებით;;

4.5.4. შეზღუდოს ან შეაჩეროს ოპერაციების **ავტორიზაციის** შესაძლებლობა იმ შემთხვევაში თუ: (ა) **კლიენტი** მოხვდა **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** თაღლითობის პრევენციისაკენ მიმართულ ნებისმიერ პროგრამაში, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს გლობალური **დავის** ან ფროდის მონიტორინგის პროგრამას; (ბ) ნებისმიერი საფუძვლის გამო იქმნება საფრთხე **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** თაღლითობის პრევენციისაკენ მიმართულ ნებისმიერ პროგრამაში, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს გლობალურ **დავის** ან ფროდის მონიტორინგის პროგრამას, **ბანკის** მოსახვედრად;

4.5.5. არ განახორციელოს **კლიენტთან** ანგარიშსწორება ამ **სტანდარტული პირობების დანართი #1-ში** (უსაფრთხოების ნორმები და ბარათის მიღების ინსტრუქცია) მოცემული წესების დარღვევით, ყალბი ან ძალადაკარგული **სავაჭრო ქვითრების** მიხედვით შესრულებული გარიგების შემთხვევაში. ასევე ზემოაღნიშნული დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ **ბანკის** მიერ უკვე განხორციელებულია ანგარიშსწორება, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტისათვის** გადარიცხული თანხის ჩამოჭრა მისი საბანკო ანგარიშიდან, **კლიენტის** თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე;

4.5.6. შეაჩეროს ოპერაციების **ავტორიზაციის** შესაძლებლობა **კომპანიის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხოლო მიმდინარე თვეში შეაჩეროს ან შეზღუდოს ოპერაციების **ავტორიზაციის** შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტმა** გადააჭარბა გასული თვის განმავლობაში **საბანკო ბარათების** გამოყენებით **პოს ტერმინალზე** განხორციელებულ **ტარიფებით** დადგენილ ლიმიტებს;

4.5.7. შეწყვიტოს **პოს-ტერმინალით** მომსახურება და ოპერაციების **ავტორიზაცია,** ან შეაჩეროს **კლიენტთან** ანგარიშსწორების ოპერაციები ნებისმიერ დროს თუ **ბანკი** ჩათვლის, რომ **კლიენტი** ახორციელებს **ბანკისთვის** სარისკო ქმედებებს და/ან მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ჩამოთვლილი პუნქტებიდან ერთ-ერთს: (ა) საქართველოს კანონმდებლობას; (ბ) **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მოთხოვნებსა და წესებს; (გ) **ბანკის** შიდა რეგულაციებს და მოთხოვნებს;

4.5.8. განახორციელოს **ავტორიზებულ მოთხოვნებში** შესული ინფორმაციის ანალიზი (მონიტორინგი) **არასანქცირებული ოპერაციების** გამოვლენის მიზნით.

4.5.9. ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაადგინოს შეზღუდვები და აკრძალვები საგადამხდელო საშუალებად განსაზღვრული ტიპის ან/და **ემინტენტების** მიერ გამოშვებული **საბანკო ბარათების** მიღებასთან დაკავშირებით.

4.5.10. გააჩეროს და დაბლოკოს **კლიენტისთვის** გადასახდელი თანხა დავის საბოლოო გადაწყვეტამდე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსალოდნელი **სადავო ოპერაციების** ჯარიმის ან/და ზარალის ანაზღაურების მიზნით;

4.5.11. არ განახორციელოს ანგარიშსწორებები **ბათილ** და **საეჭვო ოპერაციებზე,** შესაბამისი სადავო საკითხების გარკვევამდე.

4.5.12. უარი განაცხადოს ოპერაციის განხორციელებაზე, თუ **ოპერაცია უარყოფილია ემიტენტის, საპროცესინგო ცენტრის** ან **საერთაშორისო სისტემის** მიერ, ხოლო თავის მხრივ **კლიენტი** ვალდებულია არ განახორციელოს მომსახურების მიწოდება იმ შემთხვევაში თუ ოპერაცია არ არის **ავტორიზებული**;

4.5.13. არ მოახდინოს ანგარიშსწორება **გარიგებიდან** 7 (შვიდი) კალენდარული დღის შემდეგ მიღებული ოპერაციების საფუძველზე;

4.5.14. მოითხოვოს **კლიენტისაგან** ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც **სადავო ოპერაციის**, აგრეთვე ნებისმიერი საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში. **ბანკი** არ არის ვალდებული დაასაბუთოს ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვნის საფუძველი და მოტივაცია;

4.5.15. **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოჭრას თანხა ან/და დაბლოკოს **კლიენტის** ნებისმიერ ანგარიშზე არსებული თანხები, თუ

**ხელშეკრულების** საფუძველზე **კლიენტს ბანკში** გააჩნია სარეზერვო ანგარიში და **რეზერვის** თანხა არ ფარავს **კლიენტის** დავალიანებას **ბანკის** მიმართ, რაზეც **კლიენტი** წინასწარ აცხადებს თანხმობას. ამასთან, თუ ანგარიშზე არსებული თანხა და **ბანკის** მოთხოვნა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს თანხის კონვერტაცია **ბანკში** დადგენილი კურსით.

4.6. ***<u>კლიენტის განცხადებები და ვალდებულებები.</u>***

4.7. **კლიენტი** აცხადებს, რომ:

4.7.1. არ განახორციელებს **ბარათის მფლობელის** ანგარიშის დებეტირებას, ვიდრე საქონელი/მომსახურება სრულად არ იქნება მიწოდებული ან გაწეული.

4.7.2. არ გადასცემს **პოს ტერმინალებს** და არ მისცემს მათი გამოყენების უფლება მესამე პირებს;

4.7.3. **ბანკის** ნებართვის გარეშე არ გადაიტანს **პოს ტერმინალს** სხვა **ობიექტში** ან ფილიალში;

4.7.4. არ მიიღებს **ბარათს** იმ მომსახურებისთვის, რომელიც არ არის განსაზღვრული **პოს ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებით**;

4.7.5. არ მოახდენს **ბარათის** ნომრის მოთხოვნას იმ მომსახურებისთვის, რომელიც არ არის განსაზღვრული **პოს ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებით**;

4.7.6. აცნობებს **ბანკს** მის მიერ მესამე პირის-წარმომადგენლის გამოყენების თაობაზე, რომელსაც ექნება წვდომა **ბარათის** მონაცემებთან. აღნიშნული მესამე პირი - წარმომადგენელი უნდა აკმაყოფილებდეს **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** უსაფრთხოების მოთხოვნებს;

4.7.7. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ გამოიყენება მესამე პირის საბარათე მონაცემების დამუშავების სერვისი:

(ა) უზრუნველყოს სისტემაში ჩართული მესამე პირის **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას. ისეთი როგორიცაა **ტრანზაქციასთან** დაკავშირებული ინფორმაცია, მისი შენახვა და დაცვა;

(ბ) სრულად იცნობდეს და აკმაყოფილებდეს **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** „PCI-DSS", PA DSS და Pin Security უსაფრთხოების პროგრამას **ბარათების** მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით და ვალდებულებას იღებს შეასრულოს მათთან დაკავშირებული მოთხოვნები

4.7.8. **პოს-ტერმინალთან** დაკავშირებით უზრუნველყოფს შემდეგი მოთხოვნების სრულად შესრულებას:

4.7.8.1. **კლიენტი** განახორციელებს ვაჭრობას მხოლოდ შეთანხმებული საქონლითა და/ან მომსახურებით, რომელიც განსაზღვრულია **პოს ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებით**;

4.7.8.2. **კლიენტის** მიერ ნებისმიერი ისეთი ტიპის **ტრანზაქციების** განხორციელებისთვის, რომელიც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **ტრანზაქციებს,** რომელიც უკავშირდება ტელეკომუნიკაციებს, აზარტულ თამაშობებს, მედიკამენტებს, თამბაქოს და/ან პაემნებთან დაკავშირებულ მომსახურებას, საჭიროა **ბანკის** წინასწარი თანხმობა და იმ შემთხვევაში თუ **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** რეგულაცია მოითხოვს **კლიენტის** რეგისტრირებას **საგადამხდელო სისტემაში, საკომისიოს** გადახდას უზრუნველყოფს **კლიენტი**;

4.7.8.3. **კლიენტი** დაიცავს **მომხმარებლ(ებ)ისა** და მათი საბარათე მონაცემების სრულ კონფიდენციალობას და უსაფრთხოებას **მომხმარებლ(ებ)ის კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის** შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** არ აქვს შემუშავებული კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, ან/და **კლიენტის** კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა ადგენს **მომხმარებლის** უფლებებისა და ინტერესების დაცვის უფრო ნაკლებ სტანდარტებს, **კლიენტი** ვალდებულია იმოქმედოს **ბანკის** კონფიდენციალურობის პოლიტიკის სრული დაცვით. მითითებული დოკუმენტი ხელმისაწვდომია **ბანკის** ოფიციალურ ვებ გვერდზე www.libertybank.ge;

4.7.8.4. **კლიენტის** საქმიანობაში არსებითი ცვლილებების შემთხვევაში, რაც შეზღუდვის გარეშე გულისხმობს საქონლის/მომსახურების ტიპის ცვლილებას, წინასწარ წერილობით შეათანხმებს **ბანკთან**, რის საფუძველზეც განხორციელდება **ხელშეკრულების** შესაბამისი ცვლილება;

4.7.8.5. **პოს ტერმინალის** მუშაობასთან დაკავშირებული მათში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინებს **ბანკს** ამის შესახებ;

4.7.8.6. **საბანკო ბარათების** გამოყენებით **პოს ტერმინალის** საშუალებით ჩატარებული ოპერაციების ლიმიტების დაცვას, **ხელშეკრულების** შესაბამისად;

4.8. **კლიენტი** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, რომ:

4.8.1. დაიცავს **ობიექტებში პოს-ტერმინალით** ბარათებით მომსახურების პირობებს წინამდებარე **სტანდარტული პირობების დანართში #1** (უსაფრთხოების ნორმები და ბარათის მიღების ინსტრუქცია) მოცემული წესების შესაბამისად;

4.8.2. **პოს-ტერმინალებთან** მუშაობის უფლებას მისცემს მხოლოდ **ბანკის** მიერ ინსტრუქტირებულ თანამშრომლებს და წერილობით მოითხოვოს **ბანკისაგან** ახალი პერსონალისათვის ინსტრუქციის ჩატარება;

4.8.3. გახსნის და მუდმივად იქონიებს აქტიურს მიმდინარე საბანკო ანგარიშს, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული თანხების ანგარიშსწორება;

4.8.4. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე **ტრანზაქციიდან** გამომდინარე **მომხმარებლისთვის** მიწოდებული საქონელი/მომსახურება ექვემდებარება **კლიენტისათვის** დაბრუნებას ან/და ხდება საქონლის/მომსახურების თანხის დაბრუნება, ან ხდება ფასის კორექტირება, **კლიენტმა** არც ერთ შემთხვევაში არ უნდა განახორციელოს თანხის **მომხმარებლისთვის** დაბრუნება ნაღდი ფულით.

4.8.5. **სადავო ოპერაციის** შემთხვევაში, სადავო პროცესის დამთავრებამდე, მოახდენს **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ უკან გათხოვილი თანხის და მასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების სრულ ანაზღაურებას;

4.8.6. **სადავო ოპერაციის** შემთხვევაში მოთხოვნისთანავე გადასცემს **ბანკს სადავო ოპერაციის** დოკუმენტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებული იქნება გადაიხადოს **სადავო ოპერაციის** და მასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების თანხა სრული ოდენობით;

4.8.7. აუნაზღაუროს ზარალი, რომელიც **ბანკს** მიადგა **ობიექტის** მომსახურე პერსონალის დაუდევარი ქმედებისა ან/და წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის შედეგად;

4.8.8. ახალი მომსახურების წერტილის გახსნის შემთხვევაში მინიმუმ 5 (ხუთი) **საბანკო დღით** ადრე აცნობებს **ბანკს** მისი გახსნის შესახებ, **პოს ტერმინალის** დროული მონტაჟის მიზნით;

4.8.9. გაუფრთხილდება და არ დააზიანებს მისთვის სარგებლობაში გადაცემულ **პოს-ტერმინალს** და მის აქსესუარებს. არ მოახდენს **პოს ტერმინალის** რაიმე ტექნიკურ და პროგრამულ ცვლილებებს, ხოლო **პოს-ტერმინალის** გაუმართაობის ან/და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობებს **ბანკს ხელშეკრულებით** განსაზღვრულ საკონტაქტო ნომერზე.

4.8.10. შეამოწმებს ჩაბარებული **პოს-ტერმინალის** ჩეკზე დატანილი ინფორმაციის შესაბამისობა განაცხადთან. **პოს ტერმინალის** ჩაბარებით **კლიენტი** ეთანხმება, რომ **პოს-ტერმინალი** დაპროგრამებულია მისი მოთხოვნის შესაბამისად.

4.8.11. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, დაუბრუნებს **ბანკს პოს ტერმინალს** და **მიღება-ჩაბარებით** განსაზღვრული **პოს ტერმინალის** აქსესუარებს თავდაპირველ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

4.8.12. **პოს ტერმინალის** ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში აუნაზღაურებს **ბანკს** მისი კაპიტალური რემონტის ხარჯს, შესაბამისი ინვოისის საფუძველზე, ხოლო თუ **პოს-ტერმინალი** არ ექვემდებარება რემონტს, აუნაზღაურებს **ბანკს პოს-ტერმინალის** ღირებულებას **ტარიფებში** მოცემული ოდენობით, **ბანკის** მოთხოვნის შესაბამისად.

4.8.13. **პოს-ტერმინალის** დაუბრუნებლობის შემთხვევაში, აუნაზღაურებს **ბანკს** მის ღირებულებას, რომელიც განსაზღვრულია **ტარიფებით,** შესაბამისი ინვოისის საფუძველზე. **მიღება-ჩაბარებით აქტით** განსაზღვრული **პოს-ტერმინალის** აქსესუარების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, აუნაზღაურებს **ბანკს** მათ ღირებულებას, რომელიც განსაზღვრულია **ტარიფებით**.

4.8.14. წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად, **ბანკისგან** წერილობითი ფორმით შეტყობინების მიღების დღიდან არაუგვიანეს მე-3 (მესამე) **სამუშაო დღეს ბანკს** გადაუხდის **გაუქმების ოპერაციების**, **დაბრუნების ოპერაციების**, **ბათილი ოპერაციების** მომსახურების ღირებულებას, აგრეთვე **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ **ინციდენტურ ციკლებში** ოპერაციების გარემოებათა დაზუსტების შედეგად გადასახდელ თანხებს, ასევე სხვა ზარალს და ხარჯს რომელიც მიყენებულ იქნა **ბანკისთვის ინციდენტური ციკლების** ჩატარებასთან დაკავშირებით და **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ **ბანკისთვის** დაქვითულ **დავის** და სხვა თანხებს, ჯარიმებს და **ბანკის** მიერ გაწეულ სხვა ხარჯებს.

4.8.15. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკში** დადგენილი წესით და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე მოითხოვოს **დავის** გასაჩივრება, თუ **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** რეგულაციების თანახმად მოცემული **დავა** ექვემდებარება გასაჩივრებას და აუნაზღაუროს **ბანკს** აღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

4.9. **სტაndარტული პირობების** 4.8.14 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში **კლიენტის** ანგარიშებზე არასაკმარისი თანხების არსებობისას, **კლიენტის** ანგარიშებზე წარმოიშობა თანხის გადახარჯვა (ოვერლიმიტი), ხოლო **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს თანხის გადახარჯვის (ოვერლიმიტის) შევსება და ოვერლიმიტის ყოველი დღისათვის (მათ შორის არასრული დღისათვის) გადაუხადოს **ბანკს** ოვერლიმიტის საკომისიო **კანონმდებლობით** კრედიტებისათვის განსაზღვრული წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობით, თუ **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებით** ოვერლიმიტის საკომისიოს სხვა ოდენობა არ არის გათვალისწინებული. ამასთან, თუ **კლიენტის** არ გააჩნია ანგარიში **ბანკში, კლიენტმა** გადახარჯული თანხების დაფარვა უნდა უზრუნველყოს **ბანკის** მიერ ინვოისის მიწოდებისთანავე, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაუხადოს **ბანკს** პირგასამტეხლო ამ პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

4.10. ***<u>ფინანსური და სხვა სახის ინფორმაცია</u>***

4.10.1. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში მიაწოდოს **ბანკს კლიენტთან** დაკავშირებული ყოველწლიური სრული ფინანსური ინფორმაცია.

4.10.2. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** განახორციელოს **კლიენტის** საქმიანობისა ადგილზე შემოწმება ან/და ნებისმიერი მესამე პირისგან მოიძიოს, მოითხოვოს და მიიღოს **კლიენტის** ფინანსური ან/და ბიზნესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

4.10.3. **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას, ნებისმიერი მიზნით გამოიყენოს წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად **კლიენტის** შესახებ მიღებული ინფორმაცია, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **ბანკის** უფლებას მიაწოდოს **საერთაშორისო საგადახდო სისტემას** მისი მოთხოვნით **ბანკისთვის** ცნობილი ინფორმაცია **კლიენტის** რეკვიზიტების (იურიდიული და საფოსტო მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ელექტრონული ფოსტის მისამართი) შესახებ.

4.10.4. **კლიენტი** ვალდებულია წინასწარ წერილობით აცნობოს **ბანკს** განაცხადში მითითებულ ნებისმიერი მონაცემის ცვლილების და/ან **კომპანიის** საქმიანობის სფეროს ცვლილების შესახებ.

4.11. ***<u>სხვა პირობები</u>***

4.11.1. **კლიენტისთვის პოს-ტერმინალების** მიტანა-წამოღებას, მონტაჟს, დემონტაჟს და მათ სრული მომსახურებას უზრუნველყოფენ **ბანკის** უფლებამოსილი წარმომადგენლები, შესაბამისი **მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის** საფუძველზე.

4.11.2. **მიღება-ჩაბარების აქტით კლიენტს** გადაეცემა დროებით მფლობელობაში **პოს-ტერმინალი,** რის შედეგადაც **კლიენტს** ეკისრება **პოს-ტერმინალის** მოვლა-პატრონობის ვალდებულება და ხდება **პოს-ტერმინალზე** მატერიალურად პასუხისმგებელი.

## 5. დამატებითი მოთხოვნები კლიენტისთვის რომელიც წარმოადგენს აზარტული თამაშების ორგანიზატორს

5.1. **კლიენტი** ვალდებულია სრულად მოახდინოს **მომხმარებლის** იდენტიფიკაცია წინამდებარე მუხლში მითითებული **მომხმარებლის** იდენტიფიკაციის საშუალებების გათვალისწინებით. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს **კლიენტის** მიერ **მომხმარებლის** იდენტიფიცირების პროცესი და **კლიენტის** მიერ **მომხმარებლის** იდენტიფიცირების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დააკისროს მას პირგასამტეხლო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით თითოეულ ასეთ დარღვევაზე.

5.2. **კლიენტი** ვალდებულია არ განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად 25 (ოცდახუთი) წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის, 18 (თვრამეტი) წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის, დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიაში შეყვანილი პირების ან/და კანონმდებლობით აკრძალულ სხვა პირთა მომსახურება.

5.3. **მომხმარებლის** მიერ **ტრანზაქციის** განხორციელებისას, ან ასეთის მცდელობისას **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს **მომხმარებლის** სრულად იდენტიფიცირება **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ დადგენილი **მომხმარებლის** იდენტიფიცირების აუცილებელი წესების დაცვით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** წარმოადგენს **აზარტული თამაშების ორგანიზატორს**, დამატებით ვალდებულია **მომხმარებლის** იდენტიფიცირება განახორციელოს პიროვნების პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი მოწმობის ან/და პასპორტის და **მომხმარებლის** საგადახდო ბარათზე დატანილი ინფორმაციის საშუალებით.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** წარმოადგენს **აზარტული თამაშების ორგანიზატორს**, იგი ვალდებულია მის მიერ მოწყობილი **აზარტული თამაშებით** სარგებლობისთვის არ მიიღოს ის **საგადახდო ბარათები**, რომლებიც ემიტირებულია იმ ქვეყანაში, სადაც აკრძალულია აღნიშნული ან/და მსგავსი **აზარტული თამაშებით** სარგებლობა.

## 6. პრეავტორიზაციის ფუნქციონალის გააქტიურება

6.1. **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია შესაბამისი **განაცხადით** მიმართოს **ბანკს** და **ბანკის** მიერ პრეავტორიზაციის ფუნქციონალის გააქტიურებისას, ისარგებლოს **პოს-ტერმინალებზე** აღნიშნული ფუნქციონალით.

6.2. პრეავტორიზაციის ფუნქციონალი **კლიენტს** ანიჭებს უფლებას **პოს-ტერმინალზე** განახორციელოს **ტრანზაქცია** სრულად ან ნაწილობრივ **საბანკო ბარათის** ფიზიკურად გატარების გარეშე, საბარათე მონაცემების **პოს-ტერმინალზე** ხელით აკრეფის საშუალებით (შემდგომში - **პრეავტორიზაცია**) ქვემოთ მითითებული პირობების გათვალისწინებით:

6.2.1. **პოს-ტერმინალზე** ტრანზაქციის ინიცირებას ახორციელებს **კლიენტი**, **მომხმარებლის** წინასწარი თანხმობით, **საბანკო ბარათის** ფიზიკურად გატარების გარეშე, საბარათე მონაცემების და **ტრანზაქციის** თანხის მითითების საშუალებით;

6.2.2. **პრეავტორიზაციის** ფარგლებში **პოს-ტერმინალზე ტრანზაქციის** ინიცირების შემდგომ, **ემიტენტი** ახორციელებს **მომხმარებლის** შესაბამის **საბარათე ანგარიშზე ტრანზაქციის** თანხის დაბლოკვას **ტრანზაქციის** დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს **საერთაშორისო საგადახდო სისტემის რეგულაციით** განსაზღვრული ვადისა. თუ **კლიენტი** ვერ უზრუნველყოფს თანხის დაბლოკვიდან **საერთაშორისო საგადახდო სისტემის რეგულაციებით** განსაზღვრულ ვადაში **ტრანზაქციის** დასრულებას, **პრეავტორიზაცია** ჩაითვლება გაუქმებულად და **ემიტენტი** მოახდენს **ტრანზაქციის** თანხაზე ბლოკის მოხსნას.

6.2.3. **პრეავტორიზაციის** დასასრულებლად სავალდებულოა **პოს-ტერმინალზე** ფიზიკურად გამოყენებული იქნას **ბარათი**, თუ გამონაკლის შემთხვევებში **ბანკთან** შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.

6.3. **პრეავტორიზაცია** შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ **ბარათის მფლობელის** წერილობითი თანხმობით.

6.4. **პრეავტორიზაციის** ტექნიკური დეტალები ხელმისაწვდომია **ბანკის** ვებგვერდზე - http://libertybank.ge

6.5. **პრეავტორიზაციის** ფუნქციონალით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში **კლიენტი** ვალდებულია:

6.5.1. **ბანკში** განათავსოს **რეზერვი** არანაკლებ **პოს-ტერმინალით** განხორციელებული ოპერაციების ჯამური მოცულობის 10%-ის ოდენობით.

6.5.2. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ტრანზაქციის** განხორციელებიდან საქართველოს კანონმდებლობითა და **საერთაშორისო საგადახდო სისტემის რეგულაციებით** განსაზღვრულ პერიოდში, მაგრამ არანაკლებ 13 თვის პერიოდში, ნებისმიერ დროს, უზრუნველყოს **ბანკისათვის** შემდეგი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდება:

6.5.2.1. **კლიენტის** იმ მომხმარებლების სახელი, გვარი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელთა სასარგებლოდაც განხორციელდა **ტრანზაქცია**;

6.5.2.2. **ბარათის მფლობელის** ხელმოწერილი თანხმობა მისი **ბარათის** გამოყენებაზე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6.5.2.3. **ტრანზაქციის** ფარგლებში მომსახურების შეძენის დეტალები და პირობები და მომსახურების მიმღებთან განხორციელებული მიმოწერა, შეძენილი მომსახურების გაუქმების პირობები.

6.5.2.4. **პრეავტორიზაციასთან** დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი;

6.6. **კლიენტი, პრეავტორიზაციის** პროცესის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აცნობიერებს აღნიშნული საშუალებით **ტრანზაქციის** განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებს და იღებს ვალდებულებას **ბანკს, ბარათის მფლობელს** ან/და ნებისმიერ მესამე პირს, სრულად აუნაზღაუროს **პრეავტორიზაციის** შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

## 7. სამადლობელი თანხა - „თიფი“

7.1. **სამადლობელი თანხის** გადახდის ფუნქციონალი (შემდგომში - **თიფი**) წარმოადგენს **პოს ტერმინალზე გარიგების** საფასურთან ერთად, **მომხმარებლის** მიერ**, მერჩანტის** ობიექტის მომსახურე პერსონალის სასარგებლოდ დამატებითი თანხის **პოს-ტერმნალის** მეშვეობით გადახდის ფუნქციონალს.

7.2. **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია შესაბამისი **განაცხადით** მიმართოს **ბანკს** და **ბანკის** მიერ **სამადლობელი თანხის** ფუნქციონალის გააქტიურების შემთხვევაში, ისარგებლოს **პოს-ტერმინალზე** აღნიშნული ფუნქციონალით.

7.3. **პოს-ტერმინალზე სამადლობელი თანხის** გადახდის მიღება და შემდგომი ანგარიშსწორება შესაძლებელია **სამადლობელი თანხის კლიენტისათვის** ჩარიცხვის ან **სამადლობელი თანხის კლიენტის** შესაბამისი მომსახურე პერსონალის/მიმღების, წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშის ნომერზე ჩარიცხვის გზით.

7.3.1. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** საკუთარ **ანგარიშზე** ახორციელებს სამადლობელი თანხის მიღებას და შემდგომ თავად ახორიელებს ანგარიშსწორებას, **ბანკი** უზუნველყოფს სამადლობელი თანხის **კლიენტის ანგარიშზე** ჩარიცხვას ცალკეული **ტრანზაქციის** სახით, **გარიგების** თანხისგან დამოუკიდებლად.

7.3.2. იმ შემთხვევაში თუ **მხარეები** შეთანხმდებიან, სამადლობელი თანხის კლიენტის მომსახურე პერსონალის (ერთი ან რამდენიმე პირი) პირად ანგარიშზე ჩარიცხვაზე, **კლიენტი** ვალდებულია წინასწარ მიაწოდოს **ბანკს** გადახდის მიმღების საბანკო **ანგარიშის** რეკვიზიტები და პირადი მონაცემები.

7.3.3. **კლიენტი** თავად არის ვალდებული შესაბამისი ფორმით მოიპოვოს იმ მომსახურე პერსონალის თანხმობა მათი პირადი მონაცემებისა და კონფიდენციალური (მათ შორის საბანკო საიდუმლოებას მიკუთვნებული) ინფორმაციის **ბანკისათვის** გაზიარებასა და **ბანკის** მიერ დამუშავების თაობაზე, ვის **ანგარიშზეც** უნდა განხორციელდეს სამადლობელი თანხის ჩარიცხვა.

7.3.4. **კლიენტის** მიერ **კლიენტის** მომსახურე პერსონალის (ერთი ან რამდენიმე პირი) პერსონალური მონაცემების და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის **ბანკისთვის** გადაცემისას ივარაუდება, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა/თანხმობა **ბანკის** მიერ ზემოაღნიშნულ პირთა შესახებ პერსონალური მონაცემების წინამდებარე ხელშეკრულების პირობების და **ბანკის** კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნებისათვის დამუშავებაზე და **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი აღნიშნული თანხმობ(ებ)ის, ნებართვ(ებ)ის არ არსებობის შედეგად გამოწვეული ყველა სახის ზიანის/ზარალისთვის. შესაბამისად, ბანკი არ არის პასუხისმგებელი, მის მიმართ არ შეიძლება წარდგენილი იქნას რაიმე მოთხოვნა **კლიენტის** მომსახურე პერსონალის პერსონალური მონაცემების თუ სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებასთან /დამუშავებასთან დაკავშირებით და ნებისმიერი პრეტენზია რომელიც წარმოიშვება მონაცემთა დამუშავების წინამდებარე

პირობებით განსაზღვრული წესის ან/და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, წარედგინება უშუალოდ **კლიენტს;**

7.3.5. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში მიაწოდოს ბანკს, 7.3.4. პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი **მიმღების** (**კლიენტის** მომსახურე პერსონალის) თანხმობა.

7.4. **პოს-ტერმინალზე** ტრანზაქციის ინიცირებას ახორციელებს **კლიენტი**, **მომხმარებლის** წინასწარი თანხმობით, პოს-ტერმინალზე შესაბამისი გადახდის ფუნქციონალის არჩევის გზით, **მომხმარებლის** მიერ მითითებული ოდენობით.

7.5. **კლიენტი** ვალდებულია არ დაუშვას პოს-ტერმინალზე სამადლობელი თანხის გადახდის მიღება ან განსხვავებული ოდენობით გადახდის მიღება, თუ აღნიშნულის თაობაზე არ არსებობს **მომხმარებლის** წინასწარი მოთხოვნა/თანხმობა.

7.6. მიუხედავად იმისა, **სამადლობელი თანხის** ანგარიშსწორება ხორციელდება **კლიენტის ანგარიშზე** თუ **კლიენტის** მომსახურე პერსონალის პირად ანგარიშ(ებ)ზე, **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი პოს-ტერმინალზე შესრულებულ თითოეულ ტრანზაქციაზე, მათ შორის **სამადლობელი თანხის/თიფის** სახით შესრულებულ გადახდაზე და აღნიშნულ ტრანზაქციებზეც სრულად ვრცელდება **ხელშეკრულებითა** და წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული **კლიენტის** ყველა ვალდებულება და პასუხისმგებლობა, როგორც ზიანის ანაზღაურების, ისე დაბრუნების, გაუქმების, ბათილად ცნობილი ოპერაციების, ინციდენტური ციკლების შესახებ და სხვა.

## 8. ყალბი და ძალადაკარგული სავაჭრო ქვითრები

8.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **სავაჭრო ქვითარი** ითვლება ყალბად და **ბანკი** არ მოახდენს **კლიენტისთვის** თანხების გადარიცხვას თუ:

8.1.1. **კლიენტის** მიერ **ბანკში** წარდგენილი **სავაჭრო ქვითარი** ან მისი ასლი არ შეესაბამება **ავტორიზაციის** მონაცემებს;

8.1.2. **სავაჭრო ქვითარი** არ არის შევსებული უსაფრთხოების ნორმების და ბარათის მიღების ინსტრუქციაში მოცემული წესების თანახმად;

8.1.3. **სავაჭრო ქვითარში** შეტანილია შესწორებები ან დარღვეულია მათი ასლების იდენტურობა;

8.2. **მხარეები** თანხმდებიან და ოფიციალურ დოკუმენტებად ცნობენ: (ა) **საპროცესინგო სისტემაში** დაფიქსირებულ მონაცემებს; (ბ) **ავტორიზაციის** მონაცემებს; (გ) ავტომატურ **სავაჭრო ქვითრებს**; (დ) **ბანკიდან** მიღებულ **ამონაწერებსა** და (ე) **სადავო ოპერაციების დოკუმენტებს;**

## 9. სარეზერვო ანგარიში

9.1. **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად **ბანკი კლიენტს** გაუხსნის **სარეზერვო ანგარიშს**.

9.2. **სარეზერვო ანგარიში** შეივსება **კლიენტის** მიერ განხორციელებული **ტრანზაქციის** ღირებულებიდან (**ტარიფებით** გათვალისწინებული ოდენობით) თანხების **სარეზერვო ანგარიშზე** ჩარიცხვის გზით ან/და **კლიენტის** მიერ **სარეზერვო ანგარიშზე ბანკის** მიერ **ტარიფებით** შესაბამისად განსაზღვრული ფიქსირებული თანხის განთავსების გზით.

9.3. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია მის ანგარიშზე დამატებით განათავსოს თანხები **მომხმარებლ(ებ)ის** მიერ **დაბრუნების** და **გაუქმების ოპერაციების** და **დავის** გაუთვალისწინებელი გაზრდილი მოთხოვნის რისკების უზრუნველსაყოფად, თუ **კლიენტის** ანგარიშზე არსებული თანხები არ არის საკმარისი ამისთვის.

9.4. **ბანკი** უფლებამოსილია **სარეზერვო ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით ჩამოჭრას თანხები და მიმართოს იგი ნებისმიერი ზიანის, საკომისიოს და ხარჯის ასანაზღაურებლად, რომელიც მიადგა ან მიადგება **ბანკს კლიენტის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობით. თუ **რეზერვი** განისაზღვრება ფიქსირებული თანხის სახით, სარეზერვო ანგარიშიდან თანხის ყოველი ჩამოჭრისას **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს რეზერვის შევსება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოდენობამდე არაუგვიანეს თანხის ჩამოჭრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

9.5. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტის სარეზერვო ანგარიშზე** არსებული თანხების განკარგვის უფლება **კლიენტს** მიეცემა მის მიერ განხორციელებული ბოლო **ავტორიზებული ტრანზაქციიდან** 13 თვის გასვლის შემდეგ. თუ **ბანკი** მიიჩნევს, რომ **კლიენტის სარეზერვო ანგარიშზე** არსებული თანხა არასაკმარისია წარმოქმნილი რისკების დასაფარად, **კლიენტს** დამატებით დაებლოკება შესაბამის ანგარიშებზე არსებული თანხები **ბანკის** მიერ განსაზღვრული ვადით.

## 10. მომსახურების ტარიფები და პირობები. შედარების აქტი

10.1. **კლიენტი ბანკს** უხდის **საკომისიოს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების გამოყენებისას, **ხელშეკრულებით** დადგენილი ოდენობით.

10.2. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის ბანკში** გახსნილი ნებისმიერი და ყველა ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურებ(ებ)ის **საკომისიო**, შეცდომით ჩარიცხული თანხები, პირგასამტეხლოს თანხები, სხვა ტარიფები ან/და **ბანკისათვის** გადასახდელი წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი და ყველა თანხა. **კლიენტის** ანგარიშზე საკმარისი ნაშთის არარსებობის შემთხვევაში **ბანკი** იტოვებს უფლებას მოსთხოვოს შესაბამისი გადასახდელი **კლიენტს** და შესაბამისი ინვოისი გაუგზავნოს მას **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანების მითითებით. **კლიენტის** მიერ **საკომისიოს** ან/და **ბანკისათვის** რომელიმე გადასახდელის გადაუხდელობა **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი და ყველა მომსახურება.

10.3. თუ მომსახურების ტარიფ(ებ)ის (**საკომისიო**) გადახდის თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, **საკომისიოს** ჩამოწერა (გადახდა) მოხდება მომდევნო **საბანკო დღეს**.

10.4. თუ მომსახურების ტარიფ(ებ)ის (**საკომისიო**) გადახდის თარიღი ემთხვევა კალენდარული თვის ბოლო დღეს, **ბანკი** მომსახურების ტარიფ(ებ)ის ჩამოწერას განახორციელებს კალენდარული თვის ბოლო **საბანკო დღეს**.

10.5. **კლიენტის** მიერ მომსახურების **საკომისიოს** გადაუხდელობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია მოახდინოს **საკომისიოს** აკუმულირება დავალიანების სახით, რომლის დაფარვაც მოხდება **კლიენტის** ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის გზით მასზე ხელმისაწვდომი ნაშთის გაჩენისთანავე.

10.6. **კლიენტის** მიერ მომსახურების **საკომისიო(ები)ს** ერთი წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს დავალიანების აკუმულირება.

10.7. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხდება **ბანკის** მიერ **კლიენტის** ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწერა დავალიანების დასაფარად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს **კლიენტს** უფლება განკარგოს დარჩენილი თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ.

10.8. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის თანმიმდევრობა.

10.9. **კლიენტი** ვალდებულია არ დააწესოს რაიმე სახის დამატებითი **საკომისიო** ან/და სხვა ხარჯი **მომხმარებლებისგან** გადახდების **პოს-ტერმინალის** საშუალებით მიღებისას, **ბანკთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე.

10.10. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** ნებისმიერი საბანკო ანგარიშიდან რაიმე მიზეზით შეუძლებელია წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ბანკისთვის** გადასახდელი ნებისმიერი **საკომოსიოს** ან სხვა გადასახდელის ავტომატური ჩამოწერა, **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს შესაბამისი გადასახდელი **კლიენტს** და შესაბამისი ინვოისი გაუგზავნოს მას **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანების მითითებით.

10.11. **მხარეები** თანხმდებიან, რომ მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის **შედარების აქტს, ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით.

## 11. პასუხისმგებლობა

11.1. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **ბანკი** ახორციელებს საგადამხდელო საშუალებით მომსახურებას და ისინი არ არიან გამყიდველი, მყიდველი, დილერი, შუამავალი, მიმწოდებელი, დისტრიბუტორი, მწარმოებელი, ბროკერი, აგენტი ან სხვაგვარად დაკავშირებული **საპროცესინგო სისტემის** საშუალებით შეკვეთილ პროდუქტთან მიმართებაში და შესაბამისად არ იძლევიან არანაირ გარანტიას მისაღები **საქონლის/მომსახურების** ხარისხზე, რაოდენობაზე, უსაფრთხოებაზე ან/და კანონიერებაზე. **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას მასზედ, რომ **ბანკი** ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი არ არის პასუხისმგებელი **მომხმარებლების** წინაშე **კლიენტის** მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე. **ბანკი** ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი არ წარმოადგენენ მხარეს იმ დავებთან მიმართებაში, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის** მიერ **მომხმარებლის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობასთან ან არაჯეროვან შესრულებასთან. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დავის შედეგად **ბანკის** ან მასთან დაკავშირებული პირისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი (მათ შორის სამართლებრივი დავის წარმოების ხარჯები) სრულად უნდა აუნაზღაუროს **კლიენტმა** დაზარალებულ მხარეს.

11.2. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა არაავტორიზებულ **ტრანზაქციაზე**.

11.3. **კლიენტი** პასუხისმგებელია მის მიერ **ბანკისთვის** წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებამოსილების მინიჭებით გამოწვეულ ყოველგვარ შედეგზე და იძლევა გარანტიას, რომ დაიცავს **ბანკს** ყოველგვარი სარჩელის და პრეტენზიისაგან, მათ შორის ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან, და აუნაზღაურებს აღნიშნულთან დაკავშირებულ ყოველგვარ ზიანს და ხარჯს.

11.4. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ ზარალზე, რომელიც **კლიენტმა** განიცადა მესამე პირის ფინანსური პრეტენზიის შედეგად და აგრეთვე რომელიც წარმოიქმნება **კლიენტის** მიერ **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** წესებისა და რეგულაციების დარღვევის გამო.

11.5. **ბანკს** არ ეკისრება არანაირი სახის პასუხისმგებლობა მომხმარებლებისთვის ან მესამე პირებისთვის მიყენებულ იმ ზიანზე, რაც გამომდინარეობს **კლიენტის** მიერ რაიმე გარიგებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების დარღვევიდან.

11.6. **კლიენტი** იღებს მთელ პასუხისმგებლობას საქონლის/მომსახურების ხარისხზე, **კლიენტის** მიერ **მომხმარებლებისთვის** წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაციის შინაარსზე, აგრეთვე იმ ინფორმაციის შინაარსზე, რომელსაც **კლიენტი** ათავსებს ინტერნეტ ქსელში საქონლის/მომსახურების რეალიზებასთან დაკავშირებით, ამასთანავე იგი ვალდებულია **ბანკის** პირველივე თხოვნით (კავშირის ნებისმიერი არხებით შესაბამისი მოთხოვნის მიღებისთანავე) წაშალოს ნებისმიერი ინფორმაცია **ბანკის** შესახებ, რომელიც **კლიენტის** მიერ განთავსებულია ინტერნეტ ქსელში.

11.7. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტისთვის** მის ან/და სხვა მესამე პირების მიერ მარკეტინგული ან/და სხვა მიზნებისათვის გაგზავნილი საფოსტო გზავნილის შინაარსზე და ასევე იმ პროდუქციაზე და მომსახურებაზე რომელსაც მესამე პირები სთავაზობენ **მომხმარებელს**.

11.8. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე რომელიც არ არის დაქვემდებარებული მის კონტროლს და გამოწვეულია ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, **ბანკის** ელექტრონულ არხებში, და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გზით.

11.9. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც არ არის დაქვემდებარებული მის კონტროლს და გამოწვეულია საერთაშორისო საგადახდო სისტემის სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის გადატვირთვით, რომელიც გავლენას ახდენს ელექტრონული არხების სისტემის ფუნქციონირებაზე.

11.10. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, თუ: ბანკს არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი საგადახდო ან/და სხვა **ტრანზაქციის** დავალებ(ებ)ი; **მომხმარებელმა ბანკს** მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია.

11.11. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, თუ **კლიენტის** მიმდინარე ანგარიშზე არსებული თანხები ექვემდებარება სამართლებრივ შეზღუდვას.

11.12. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი წინამდებარე **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია:

(i) **კლიენტის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევით.

(ii) **კლიენტის** ან მისი ქონების მიმართ სასამართლო, აღმასრულებელი ან/და საგადასახდო ორგანოების მოთხოვნების ან/და შეზღუდვების დაწესებით.

11.13. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საგადამხდელო ან სხვა სისტემის ტექნიკური მიზეზებით.

11.14. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ წინამდებარე **სტანდარტული პირობების** გათვალისწინებული ელექტრონული არხებით სარგებლობისას, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი და შესაბამისად არც ერთ შემთხვევაში არ არის ვალდებული დაუბრუნოს **კლიენტს** სადავო ან/და გაუქმების ოპერაციის თანხები, გარდა წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.15. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** არც ერთ იმ **ტრანზაქციაზე**, რომელიც არ დასრულებულა **ბანკის** მიერ **კლიენტის** მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის დაბლოკვის გამო. ამ პუნქტის მიზნებისთვის ბლოკირება გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბლოკირება ხორციელდება **კლიენტის** მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და მესამე პირების მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებული შეზღუდვების (ინკასო, ყადაღა, სასამართლო შეზღუდვა და სხვა) საფუძვლით.

11.16. მომსახურების განხორციელების დაყოვნებისთვის **ბანკს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ეს მისი მიზეზით არ არის გამოწვეული, ან გამოწვეულია **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** არასწორი ინფორმაციისა და/ან არასწორი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის გადაცემით.

11.17. ამ **ხელშეკრულების** პირობების მიუხედავად, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც არაპირდაპირ წარმოიშვა წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე, გამორიცხულია **ბანკის** პასუხისმგებლობა მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია **ხელშეკრულებაში** განსაზღვრულ საბანკო მომსახურებებთან.

11.18. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** დავალებით განხორციელებული ოპერაციის შედეგებზე.

11.19. **კლიენტი** პასუხისმგებელია ანგარიშის გასახსნელად და მასზე ოპერაციების საწარმოებლად წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტების უტყუარობაზე.

11.20. **კლიენტი** პასუხსიმგებელია ყველა ოპერაციაზე, რომელიც ანგარიშზე განორციელდება ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ.

11.21. თუ **კლიენტი** საქონლის ან/და მომსახურების ღირებულებას დაუმატებს **ბანკის** მიერ დაკისრებულ **საკომისიოს**, **ბანკი** უფლებამოილი იქნება დააკისროს, ხოლო **კლიენტი** ვალდებული იქნება გადაუხადოს **ბანკს** პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით თითოეულ ასეთ დარღვევაზე.

11.22. **კლიენტის** საქმიანობის დახურვის ან **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არ უზრუნველყოფს **პოს ტერმინალის ბანკისათვის** დაბრუნებას ან/და დაზიანებული **პოს ტერმინალის** ზიანის ანაზღაურებას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება დააკისროს, ხოლო **კლიენტი** ვალდებული იქნება გადაუხადოს **ბანკს** პირგასამტეხლო დასაბრუნებელი/დაზიანებული პოს ტერმინალების სრული ღირებულების 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე;

11.23. გარდა ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული მიზეზებისა, თუ **კლიენტი მომხმარებელს** განუცხადებს უარს **ბარათით** ანგარიშსწორებაზე. **ბანკი** უფლებამოსილი იქნება დააკისროს, ხოლო **კლიენტი** ვალდებული იქნება თითოეულ ასეთ შემთხვევაზე **ბანკს** გადაუხადოს პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით.

11.24. იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი** მოქმედებს **კლიენტის** დავალებით წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული საბანკო მომსახურების გაწევისას **კლიენტი** აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, **კლიენტის** ან მესამე მხარის მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ბარათის მფლობელებს) წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან ასევე **კლიენტი** აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების გამოყენების შედეგად, ან ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიქმნა ასეთი მომსახურების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციის შედეგად; **კლიენტი** აღიარებს, რომ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდება **ბანკის** მიერ მიღებული დავალებების და ავტორიზაციის შესაბამისად ამ პირობების მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. **კლიენტი** აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისთვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება საბანკო მომსახურების ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება.

11.25. **კლიენტი** აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი/მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც წვდომის კოდ(ებ)ის გამოყენებით განხორციელდა. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.

## 12. ინტელექტუალური საკუთრება და მარკეტინგული თანამშრომლობა

12.1. **ბანკის** ყველა **ინტელექტუალური საკუთრების უფლება** რჩება მხოლოდ მის საკუთრებად და **კლიენტმა** არ უნდა წამოაყენოს რაიმე პრეტენზია მათზე ნებისმიერ დროს, მათ შორის ამ **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდეგაც. **კლიენტი** იყენებს **ბანკის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს** მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დაშვებულია ამ **ხელშეკრულებით** და მხოლოდ ამ **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის განმავლობაში. **კლიენტმა** არ უნდა განახორციელოს რაიმე ქმედება და არ უნდა მოიქცეს ისე, რაც არათავსებადია **ბანკის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან** და უნდა გამოიჩინოს გონივრული მზრუნველობა ამ უფლებების დასაცავად დარღვევისგან ან ზიანის მიყენებისგან.

12.2. თუ **მხარეები** სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, **კლიენტის** ყველა **ინტელექტუალური საკუთრების უფლება** რჩება მხოლოდ მის საკუთრებად და **ბანკმა** არ უნდა წამოაყენოს რაიმე პრეტენზია მათზე ნებისმიერ დროს, მათ შორის ამ **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდეგაც. წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად და **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის განმავლობაში **კლიენტი ბანკს** გადასცემს არაექსკლუზიურ, როიალტისგან გათავისუფლებულ უფლებას წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე და მის საფუძველზე გამოიყენოს მისი ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის **კლიენტის** ნებისმიერი ლოგო, სასაქონლო ნიშანი, სავაჭრო სახელწოდება ან/და სხვა ინტელექტუალური საკუთრება მსოფლიოს მასშტაბით.

12.3. ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი სახით გამოყენება, ადაპტირება ან/და ცვლილება საჭიროებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების მქონე შესაბამისი პირის წერილობით თანხმობას.

12.4. **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას **ბანკის** მიერ მისთვის გადაცემული **ინტელექტუალური საკუთრების უფლების** სარგებლობის წესები და პირობები. ხოლო საერთაშორისო საგადახდო სისტემების (Visa international, Mastercard, UnionPay international და ა.შ.) ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების შემთხვევაში აგრეთვე საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ დადგენილი წესები და პირობები. **კლიენტი** ვალდებულია არ გამოიყენოს

**საერთაშორისო საგადახდო სისტემების** ინტელექტუალური საკუთრება, თუ მას შეიძლება მოჰყვეს **საერთაშორისო საგადახდო სისტემებისთვის** ნებისმიერი სახით ზიანის მიყენება.

12.5. **მხარეები** ადასტურებენ, რომ გააჩნიათ უფლება გადასცენ მათ საკუთრებაში არსებული ან სხვა სახით ლიცენზირებული **ინტელექტუალური საკუთრების უფლება**.

12.6. **ბანკი** იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს **კლიენტს** შეწყვიტოს **ბანკის** ან/და მასთან დაკავშირებული პირების ინტელექტუალური საკუთრების გამოქვეყნება, გავრცელება ან/და სხვაგვარად შეზღუდოს **კლიენტის** მიერ მათი გამოყენება.

12.7. ***რეკლამირების უფლება.*** **კლიენტი** ან/და **ბანკი** მომსახურებების რეკლამირებას და შეთავაზებას მოახდენენ საკუთარი ხარჯებით.

12.8. ***მოწონება და გაუქმება.*** **კლიენტი** ვალდებულია, მის მიერ და მისი წარმომადგენლების მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** საგანთან დაკავშირებით შექმნილი ყველა სარეკლამო და შეთავაზების მასალა გამოყენებამდე წარუდგინოს **ბანკს** მოწონებისთვის. ბანკს უფლება აქვს, მოიწონოს ან არ მოიწონოს ნებისმიერი მასალა, აგრეთვე გააუქმოს საკუთარი მოწონება ნებისმიერ დროს. თუ **ბანკი** გააუქმებს საკუთარ მოწონებას, **კლიენტი** ვალდებულია რაც შეიძლება სწრაფად შეწყვიტოს ასეთი მასალების გამოყენება.

12.9. ***წინასწარი თანხმობის გარეშე საჯარო განცხადებების გაკეთების აკრძალვა.*** **კლიენტი** ვალდებულია არ გააკეთოს საჯარო განცხადებები პრესასთან და სხვა სახის საინფორმაციო საშუალებებთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა ურთიერთობის, საქმიანობის და მომსახურებების შესახებ და არ უნდა დაუშვას მისი თანამშრომლების ან წარმომადგენლების მიერ ინტერვიუს მიცემა ან ასეთი ინფორმაციის სხვაგვარად საჯაროდ გამოტანა **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

12.10. ***მარკეტინგული მასალების გადაცემა.*** **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში სხვა მარკეტინგულ და სარეკლამო მასალებთან თანაბარ პირობებში **ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრული ვადით განათავსოს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** გადაცემული სხვადასხვა მანიშნებლები (სტიკერები და სადგომები), სარეკლამო ნივთები და მასალები, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს სხვადასხვა ბროშურებს და ბეჭდვითი ან ელექტრონული სახის სხვადასხვა სარეკლამო მასალებს.

12.11. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **კლიენტი** აცხადებს ცალსახა და უპირობო თანხმობას, ნებისმიერ დროს, **ბანკის** მიერ შემდგომი შეტყობინების გარეშე, ნებისმიერი მარკეტინგული ან/და სხვა მიზნებისთვის (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერ სახის სარეკლამო კამპანიას ან/და პრომო აქციას) **ბანკისგან** ან/და სხვა პირებისგან მიიღოს ცნობა, წერილი, მოკლე ტექსტური ან ნებისმიერი სხვა შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია, ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებზე. ამასთან, ზემოთ აღნიშნული რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, შეცვლილ რეკვიზიტებთან მიმართებაში **ბანკი** უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება **კლიენტის** ყოველგვარი შემდგომი თანხმობის გარეშე.

12.12. **ბანკი** უფლებამოსილია, რომ წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ პროდუქტებთან მიმართებაში **კლიენტის** თანხმობის საფუძველზე გამოიყენოს პრომო კამპანიები, გათამაშებები და აქციები, მომსახურების პირობებზე თუ ტარიფებზე **კლიენტისთვის** დროებითი თუ მუდმივი ხასიათის შეღავათიანი პირობების დაწესებით. **კლიენტის** მიერ ასეთი აქციების დროს აღნიშნული პროდუქტებით სარგებლობა გულისხმობს მის თანხმობას ასეთი აქციების პირობებზე.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

13.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** ძალაში შედის **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესით და პირობებით.

13.2. **ხელშეკრულება** შეიძლება შეწყდეს:

13.2.1. **მხარეთა** შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

13.2.2. **კლიენტის** მიერ ცალმხრივად **ბანკისთვის** 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

13.2.3. **კლიენტის** მიერ ცალმხრივად, **სტანდარტული პირობების** 16.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში **ბანკის** შეტყობინების მიღებიდან **საკომისიოს** ოდენობის ცვლილების განხორციელებამდე პერიოდში, **ბანკისათვის** გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

13.2.4. დაუყოვნებლივ, **კლიენტის** მიერ **ბანკში** არსებული ანგარიშ(ებ)ის დახურვის შემთხვევაში;

13.2.5. **ბანკის** მიერ ცალმხრივად, **კლიენტისათვის ხელშეკრულების** შეწყვეტამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

13.3. **სტანდარტული პირობების** 13.2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების გარდა **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება ან/და შეაჩეროს **კლიენტისათვის ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურების გაწევა ან/და უარი თქვას **კლიენტის დავალების**/საგადახდო დავალების შესრულებაზე ან/და მოითხოვოს ერთი ან/და რამდენიმე **პოს- ტერმინალის** დაბრუნება თუ:

13.3.1. **კლიენტის** მიერ განაცხადში და/ან **ხელშეკრულებაში** დაფიქსირებული მონაცემები არ შეესაბამება სიმართლეს ან არასრულყოფილად იქნა დაფიქსირებული.

13.3.2. არსებობს ეჭვი, რომ **კლიენტის** მხრიდან ადგილი აქვს თაღლითობას ან/და არ ხდება/არ მომხდარა **მომხმარებლისთვის ტრანზაქციაში** დაფიქსირებული მონაცემების შესაბამისი მომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება ან/და შესაძლო **ტრანზაქცია** სადავო გახდეს **ტრანზაქციის** მხარეების ან/და დაინტერესებული პირის მიერ ნებისმიერი სხვა საფუძვლით.

13.3.3. **კლიენტი** მოხვდა საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის თაღლითობის პრევენციისაკენ მიმართულ ნებისმიერ პროგრამაში, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს გლობალურ **დავის** ან ფროდის მონიტორინგის პროგრამას,

13.3.4. ნებისმიერი საფუძვლის გამო იქმნება საფრთხე **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** თაღლითობის პრევენციისაკენ მიმართულ ნებისმიერ პროგრამაში, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს გლობალურ **დავის** ან ფროდის მონიტორინგის პროგრამას, **ბანკის** მოსახვედრად;

13.4. **ხელშეკრულების** ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის თარიღიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** განმავლობაში, უნდა განხორციელდეს **მხარეთა** შორის საბოლოო ანგარიშსწორება და **პოს ტერმინალისთვის** (აგრეთვე **პოს ტერმინალის** აქსესუარების) **ბანკისათვის** დაბრუნება. ამასთან, თუ **ხელშეკრულება** შეწყდა **კლიენტის** მიერ **ბანკში** არსებული ანგარიშ(ებ)ის დახურვის საფუძვლით, **კლიენტის** ანგარიშზე არსებული ნაშთი (ასეთის არსებობისას), მომსახურების საკომისიოს და წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული სხვა გადასახდელების გამოკლებით ექვემდებარება **კლიენტისთვის** დაბრუნებას შეწყვეტის თარიღიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** ვადაში.

13.5. **პოს ტერმინალის**, აგრეთვე მისი აქსესუარების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში **ბანკისათვის** მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს წინამდებარე **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით, **ხელშეკრულების** შეწყვეტიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** ვადაში.

## 14. გადასახადები

14.1. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე. **კლიენტი** აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ანგარიშ(ებ)ის მართვასთან ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერ ან ყველა მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, ”საგადასახადო ვალდებულება”); ამასთანავე, **ბანკი** თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტისგან** მიღებულ **საკომისიო** თანხასთან. თუ კანონის შესაბამისად, **ბანკს** ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა **კლიენტის** საგადასახადო ვალდებულების გამო, **კლიენტი** დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს **ბანკს**, **ბანკის** მიერ მოთხოვნისას, ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია **ბანკის** განზრახი ქმედებით.

14.2. **ბანკი** ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს კანომდებლობასთან ერთად **კლიენტმა** უნდა დააკმაყოფილოს ყველა სხვა ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები, თუ ისინი რაიმე სახით ვრცელდება ან შესაძლოა გავრცელდეს მასზე.

## 15. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

15.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. წინამდებარე **ხელშეკრულებასთან** მთლიანობაში ან მის რომელიმე ნაწილთან, აგრეთვე წინამდებარე **ხელშეკრულებასთან** პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირში მყოფ ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით დავების წარმოქმნის შემთხვევაში, **მხარეები** ყველა ძალისხმევას გამოიყენებენ მოლაპარაკებების გზით მათი გადაჭრისათვის.

15.3. იმ შემთხვევაში, თუ **მხარეები** ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მოლაპარაკებებით, მაშინ დავა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, **ხელშეკრულების** შესრულების ადგილის მიხედვით.

## 16. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია

16.1. **მხარეები** ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის რეპუტაციას, დაიცვან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის (პირობების) საიდუმლოება, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16.2. **მხარეები** იღებენ პასუხისმგებლობას მეორე **მხარის** წერილობითი ნებართვის გარეშე არ გაუმხილონ მესამე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია და მონაცემი, რომელიც წარმოადგენს თითოეული **მხარის** კომერციულ საიდუმლოს და/ან პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ხელშეკრულებას, გარდა **საერთაშორისო საგადახდო სისტემისაგან** მიღებული წერილობითი მოთხოვნის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16.3. **მხარეები** ვალდებულებას იღებენ უპირობოდ შეასრულონ ინფორმაციის კონფიდენციალობის, შენახვისა და გადაცემის **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** ყველა წესი და რეგულაცია.

16.4. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი **მხარის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დარღვევამ ზიანი მიაყენა მეორე მხარეს, მაშინ ბრალეული მხარე ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

16.5. წინამდებარე **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ ინფორმაციის მიმწოდებლის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნონ ან თავისი და/ან მესამე მხარის სასარგებლოდ არ გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია.

16.6. **კლიენტი** ვალდებულია **ბარათის მფლობელის** წინასწარი თანხმობის გარეშე არ გასცეს **ბარათის მფლობელის**, **საბანკო ბარათის** ან საბარათე ანგარიშის შესახებ ინფორმაცია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16.7. **კლიენტი** ვალდებულია არ შეინახოს საბარათე მონაცემები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საბანკო ბარათის** ნომერს, CVV2/CVC2, და ბარათის მოქმედების ვადას, წინააღმდეგ შემთხვევაში უზრუნველყოს PCI DSS-ის ან/და PA DSS ან/და Pin security-ის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა.

16.8. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს **ბანკის, პარტნიორი ბანკ(ებ)ის** ან/და საგადამხდელო სისტემების საფირმო სახელწოდება ან/და სასაქონლო ნიშანი **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16.9. **კლიენტი** იღებს ვალდებულებას **ბანკის** შესახებ განცხადებული ნებისმიერი ინფორმაცია მის ვებ გვერდზე წერილობითი ფორმით შეათანხმოს **ბანკთან ხელშეკრულების** შესაბამისი კომუნიკაციების წყაროებით.

16.10. ***პირადი ინფორმაციის გამოყენება.***

16.10.1. **მხარეთათვის** ცნობილია, რომ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობებიდან გამომდინარე, თითოეული მათგანი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მიზნებისთვის შესაძლოა წარმოადგენს როგორც **მომხმარებლის** პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებელს, ასევე უფლებამოსილ პირს ან ორივე მათგანს ერთდროულად, ან/და რიგ შემთხვევებში, შესაძლოა წარმოადგენდნენ ერთმანეთისთვის **მესამე პირებს**/სუბ-კოტრაქტორებს. შესაბამისად, თითოეული **მხარე** იღებს ვალდებულებას შესაბამისობაში იყოს ხსენებული **კანონის** მოთხოვნებთან და მკაცრად დაიცვას ქვემოთმოცემული პირობები:

16.10.1.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება განახორციელოს კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვით, ხოლო თუ მონაცემთა დამუშავებისთვის კანონი ითვალისწინებს **მომხმარებლის** თანხმობას (მათ შორის თანხმობა მარკეტინგული მიზნით მონაცემების დამუშავებაზე), მოიპოვოს აღნიშნული თანხმობა (წერილობით ან ელექტრონული ფორმით).

16.10.1.2. ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარისთვის** მიწოდებულ მონაცემთა დამუშავება განხორციელდება, შეზღუდვის გარეშე, შემდეგი მიზნებით:

i. წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული საქმიანობების (მომსახურების) შესრულების უზრუნველსაყოფად;

ii. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

iii. თითოეული **მხარის** მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც მხარე ახორციელებს **მომხმარებლის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის რომელიმე **მხარესთან** არსებული, ან/და საკრედიტო ბიუროდან რომელიმე **მხარის** მიერ მოპოვებული საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

iv. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

v. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის; ან/და

vi. საკრედიტო ბიუროსთვის ინფორმაციის გადაცემის ან/და ინფორმაციის გამოთხოვისთვის, ასეთ საკრედიტო ბიუროსა და **მხარეს** შორის არსებული კონტრაქტის საფუძველზე;

vii. რომელიმე **მხარის** კანონიერი/ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მომხმარებლის) უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი; ან/და

viii. **მომხმარებლ(ებ)ისთვის** მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელებისთვის;

ix. თუ მონაცემთა დამუშავების პროცესში, მონაცემთა დამუშავების სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთი **მხარე** წარმოადგენს მონაცემთა დამმუშავებელს, ხოლო მეორე **მხარე** უფლებამოსილ პირს, უფლებამოსილი პირი ვალდებული იქნება:

(a) განახორციელოს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული მონაცემების დამუშავება იმ მოცულობით და ფარგლებში, რაც აუცილებელია წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესასრულებლად ან გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან მარეგულირებლის მოთხოვნით;

(b) დანერგოს ყველა ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რათა აცილებული იქნას მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება და შეატყობინოს მონაცემთა დამმუშავებელს მის მიერ მიღებული ზომების შესახებ;

(c) მონაცემთა დამმუშავებლის დასაბუთებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, დაუშვას მონაცემთა დამმუშავებლის წარმომადგენლები უფლებამოსილი პირის იმ სამუშაო ადგილზე სადაც ხორციელდება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული მონაცემების დამუშავება, უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული მონაცემთა უსაფრთხოებისთვის გატარებული ღონისძიებების ინსპექტირების მიზნით;

(d) 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს მონაცემთა დამმუშავებელს ინფორმაცია, თუ მიიღებს:

- მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე ინფორმაციის მოძიების თაობაზე;
- საჩივარს ან განცხადებას, რომელიც უკავშირდება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას;

(e) ითანამშრომლოს და აღმოუჩინოს დახმარება მონაცემთა დამმუშავებელს, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრების ან განცხადებების შესწავლისას, მათ შორის:

- მიაწოდოს მონაცემთა დამმუშავებელს სრული ონფორმაცია საჩივარში ან განცხადებაში დაფიქსირებულ დეტალებთან დაკავშირებით, მათ შორის მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მის ხელთ არსებული მონაცემები;
- გონივრულ ვადაში, უზრუნველყოს მონაცემთა დამმუშავებლის წვდომა უფლებამოსილ პირთან არსებულ მონაცემებზე (მათ შორის ელექტრონულ მონაცემებზე);
- გონივრულ ვადაში, უზრუნველყოს მონაცემთა დამმუშავებლისთვის ნებისმიერი სხვა ინფორმაციის მიწოდება.

(f) მონაცემთა დამმუშავებლის წინასწარი წერილობითი ან ელექტრონული თანხმობის გარეშე არ განახორციელოს პერსონალური მონაცემების დამუშავება (ტრანსფერი) იმ სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც არ განეკუთვნებიან ევროკავშირის ეკონომიკურ ზონას და არ არიან მითითებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის #1 ბრძანებით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხაში;

(g) მონაცემთა დამმუშავებლის თანხმობის გარეშე, არ განახორციელოს პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა (გარდა იმ მესამე პირებისა, რომელთათვისაც მონაცემების გადაცემა აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობის შესასრულებლად), ამასთან, ნებისმიერი საფუძვლით, მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემების გადაცემა განახორციელოს წერილობითი **ხელშეკრულების** საფუძველზე, რომლის თანახმადაც მესამე პირი და მისი სუბ-კონტრაქტორები ვალდებულნი იქნებიან მიიღონ ყველა აუცილებელი ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და განახორციელონ ყველა ქმედება, რათა აცილებული იქნას პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება;

(h) ნებისმიერი ზიანის/ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს მონაცემთა დამმუშავებელს, უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების ქმედებების (როგორც ამ ხელშეკრულებით ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული) შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად. უფლებამოსილი პირი თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას მონაცემთა დამმუშავებელი ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც მონაცემთა დამმუშავებელი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

(i) წინამდებარე **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, უფლებამოსილმა პირმა:

- მონაცემთა დამმუშავებელს უნდა დაუბრუნოს **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე მიღებული მონაცემები (მათ შორის პერსონალური მონაცემები) იმ ფორმით რა ფორმაც მოთხოვნილი იქნება თავად მონაცემთა დამმუშავებლის მიერ, და შეწყვიტოს მონაცემების დამუშავება; ან/და

- უსაფრთხოების ნორმების დაცვით, რაც გამორიცხავს მონაცემებზე **მესამე პირების** წვდომას, გაანადგუროს მის ხელთ არსებული მონაცემები (მათ შორის პერსონალური მონაცემები), რის შესახებაც წერილობით დასტურს მიაწვდის მონაცემთა დამმუშავებელს.

## 17. ხელშეკრულების ცვლილება

17.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისთვის** წინასწარ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები (მათ შორის **ტარიფები**). ამასთან, წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:
17.1.1. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურების ტარიფების ცვლილება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ;
17.1.2. **ხელშეკრულებაში** ან **სტანდარტულ პირობებში** ხორციელდება ახალი მომსახურების, ან/და პროდუქტის დამატება, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებაში** ან/და **სტანდარტულ პირობებში** არსებულ მომსახურებებს.
17.2. თუ **კლიენტისათვის** მიუღებელია **ბანკის** მიერ შეცვლილი/განახლებული პირობები, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს,** წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **კლიენტი** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.
17.3. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ხელშეკრულების** დაუყოვნებლივ შეწყვეტა ცვლილებამდე განხორციელების პერიოდში.
17.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზეზით **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვლებლივ, სრულად დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
17.5. **ხელშეკრულებაში** ცვლილებების შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება შეცვლილი **სტანდარტული პირობების** ტექსტის **ბანკის** ვებგვერდზე - www.libertybank.ge განთავსების გზით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **მომხმარებლის** ინფორმირება დაგეგმილი ან არსებული ცვლილების შესახებ მოახდინოს წინამდებარე **სტანდარტული პირობების** მე-18 მუხლით განსაზღვრული კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე ფორმით. **კლიენტი** თავად არის ვალდებული პერიოდულად შეამოწმოს **ბანკის ვებ-გვერდი** და გაეცნოს **სტანდარტულ პირობებში** ცვლილებებს.

## 18. ფორს-მაჟორი

18.1. არც ერთი **მხარე** პასუხს არ აგებს წინამდებარე **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, არადროულად ან/და არასათანადოდ შესრულებაზე, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა, არასათანადო ან არადროული შესრულება განპირობებულია დაუძლეველი ძალის გარემოებათა (ფორს-მაჟორულ გარემოებათა) დადგომის ან/და მოქმედების შედეგად. აღნიშნული ვალდებულება ძალაში შედის დაუძლეველი ძალის გარემოებათა გაუქმებისთანავე.
18.2. დაუძლეველი ძალის გარემოებები გულისხმობს საგანგებო ხასიათის მქონე მოვლენებს, რომლებიც წარმოიქმნა წინამდებარე **ხელშეკრულების** დადების შემდეგ, მხარეთა (მხარის) ნების გარეშე, კერძოდ: სტიქიური მოვლენები და კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ორგანოების, საერთაშორიოს საგადამხდელო სისტემების გადაწყვეტილებები და ა.შ. რაც შეუძლებელს ხდის **მხარეთა** სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.
18.3. **მხარე,** რომელიც განიცდის ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ, აღნიშნული გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 3 (სამი) **საბანკო დღის** განმავლობაში, წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე **მხარეს** ფორს-მაჟორულ გარემოებათა და მათი დადგომის შესახებ და მიიღოს აუცილებელი ზომები ამ გარემოებებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შესამცირებლად. ანალოგიური მოთხოვნები ვრცელდება აგრეთვე ფორს-მაჟორული გარემოებებისა და მათი შედეგების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაზეც.
18.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებული უნდა იქნას ოფიციალური/უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილი ფორს-მაჟორმული გარემოებები არ საჭიროებს რომელიმე ორგანოს მხრიდან წერილობით დადასტურებას.
18.5. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დროის შესაბამისად.

## 19. კომუნიკაცია

19.1. თუ თავად საბანკო პროდუქტის სპეციფიკით და **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, ქართულ ენაზე და მიეწოდოს **მხარეს** ხელშეკრულებაში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:
19.1.1. გამგზავნი **მხარის** მიერ ადრესატისათვის პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის კანცელარიაში შეტყობინების ჩაბარების დღეს;
19.1.2. გამგზავნი **მხარის** მიერ ადრესატისათვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;
19.2. იმ შეთხვევაში თუ **მხარე ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს მეორე **მხარეს** ან/და გზავნილი არ ჩაბარდება ადრესატს ზედიზედ ორჯერ, გამგზავნი **მხარის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღიდან.
19.3. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შეცვლასთან ან/და შეწყვეტასთან დაკავშირებული, მხარეთა შორის კომუნიკაცია განხორციელდება მხოლოდ წინამდებარე მუხლით განსაზღვრული წესით.

## 20. დასკვნითი დებულებები

20.1. თუ **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** რეგულაციებში ან/და საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდება ისეთი ცვლილებები ან/და დამატებები, რაც იწვევს წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების დაზუსტების აუცილებლობას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება შეცვალოს **ხელშეკრულების** შესაბამისი პირობები კლიენტისათვის 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე გაგზავნილი შეწყობინების საფუძველზე ან უფრო მოკლე ვადაში, თუ ეს მოთხოვნილია თავად **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ ან/და გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.
20.2. **კლიენტი** უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა **მესამე პირს.**
20.3. **კლიენტს** არ აქვს უფლება, **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაუთმოს, სრულად ან ნაწილობრივ გაყიდოს ან სხვაგვარად გადასცეს ნებისმიერ **მესამე პირს** წინამდებარე **ხელშეკრულება, ხელშეკრულებით** განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი. ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებების ან ვალდებულებების გადაცემის ან გადაკისრების ნებისმიერი მცდელობა **კლიენტის** მხრიდან ანულირდება **ბანკის** მიერ და წარმოადგენს წინამდებარე **ხელშეკრულების** დარღვევას. თუ **ბანკი** თანხმობას გამოთქვამს **კლიენტის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების გადაცემაზე ან გადაკისრებაზე, პირი, რომელსაც გადაეცემა ან გადაეკისრება ეს **ხელშეკრულება,** გადაცემის ან გადაკისრების ძალაში შესვლის დღიდან ითვლება წინამდებარე **ხელშეკრულების** მხარედ. გარდა ამისა, **კლიენტი, ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** და დაიცვას **ბანკი** უვნებლად ყველა ვალდებულებისგან, დანახარჯისგან, ხარჯისგან და ჯარიმებისგან, რაც შეიძლება წარმოიშვას ამ პირის მიერ **ბანკისთვის** მომსახურებების მიწოდებით. კლიენტის მიერ ამ **ხელშეკრულების** გადაცემა არც ერთ შემთხვევაში არ გაათავისუფლებს **კლიენტს** მისი ვალდებულებებისგან, თუ **ბანკმა** არ გამოთქვა თანხმობა ასეთ გათავისუფლებაზე.
20.4. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** გამოიყენებს წინამდებარე მუხლის 18.1 პუნქტში მითითებულ უფლებას ან დააპირებს ამ უფლების გამოყენებას, **კლიენტი** თანხმობას აძლევს **ბანკს** ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის** ანგარიშის შესახებ ინფორმაცია სხვა მესამე პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს. აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას **კლიენტის** კანონისმიერ უფლებებზე.
20.5. **ბანკი** უფლებამოსილია, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას, **კლიენტისთვის** ყოველგვარი დამატებითი წერილობითი შეტყობინების გარეშე სუბსააგენტო ხელშეკრულებით მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოვალეობები და უზრუნველყოს მათ მიერ წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების ან მისი ნაწილის ორგანიზება იმ პირობით, რომ შეუფერხებლად გაგრძელდება **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება.
20.6. **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის განმავლობაში და მას შემდგომ (თუ ეს საჭიროა მარეგულირებელი **კანონმდებლობის** მოთხოვნების დაცვისთვის) **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **კლიენტს** და ასეთ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია **ბანკს,** მის მიერ მოთხოვნილ ვადაში,

წარუდგინოს **კლიენტის** ბიზნესთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც შეზღუდვის გარეშე გულისხმობს ინფორმაციას კლიენტის საკუთრებაში არსებული ქონების, კლიენტის წესდების, **კლიენტის** დამფუძნებლების, ბენეფიციარი მესაკუთრეების, დირექტორების, შვილობილი და დაკავშირებული კომპანიების და **კლიენტის** ფილიალების შესახებ. **კლიენტი** ვალდებულია შეატყობინოს **ბანკს** ყოველგვარი ცვლილების (მათ შორის კორპორატიულ სტრუქტურაში, პროდუქტების ან/და მომსახურებების ჩამონათვალში განხორცილებული ან/და განსახორციელებელი ცვლილებების) შესახებ. **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას **ბანკი** ყოველგვარი ზარალისგან ან/და დანაკარგისგან, რაც შეიძლება გამოიწვიოს **კლიენტის** მიერ მის კორპორატიულ სტრუქტურაში ან/და საქმიანობაში ცვლილების შეტანის შეუტყობინებლობამ.

20.7. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკის** მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, იგი საკუთარი ხარჯებით მიაწვდის **ბანკს** მის (**კლიენტის**) ფინანსურ და საოპერაციო ინფორმაციას, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებებს. **კლიენტი** ასევე იღებს ვალდებულებას, **ბანკის** მიერ მოთხოვნის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით მოახდინოს ნებისმიერი ისეთი გონივრული მოქმედების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად მის მიერ ნაკისრი ნებისმიერი და ყველა ვალდებულების შესრულებას.

20.8. **ბანკი** და **კლიენტი** **ხელშეკრულების** შესაბამისად წარმოადგენენ დამოუკიდებელ ხელშემკვრელ **მხარეებს** და წინამდებარე **ხელშეკრულება** არ შეიძლება განმარტებულ იქნას როგორც **ბანკის** და კლიენტის მიერ ერთობლივი საწარმოს დაარსება ან/და სააგენტო ურთიერთობის ჩამოყალიბება. არც ერთი **მხარეს** არა აქვს უფლება გამოვიდეს მეორე **მხარის** სახელით ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში.

20.9. თუ **ხელშეკრულების** რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას **ხელშეკრულების** დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

20.10. **კლიენტის** მიერ **ბანკიდან** ელექტრონული სახით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების ძალა.

20.11. **ბანკის** მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების გადავადება არ ნიშნავს იმას, რომ **ბანკი** უარს ამბობს თავის უფლებებზე. აგრეთვე ნებისმიერი უფლების ნაწილობრივ ან სრულად გამოუყენებლობა არ ნიშნავს მომავალში ამ უფლების სრულად გამოყენების შეზღუდვას.

20.12. **ხელშეკრულების** (მათ შორის **პოს ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** ან/და **სტანდარტული პირობების**) ყველა **დანართი** ამ **ხელშეკრულების** განუყოფელი ნაწილია.

20.13. **მხარეთა** მიერ ამ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიჩნეულია **ბანკის** იურიდიული მისამართი.

20.14. **ხელშეკრულებას** ენიჭება უპირატესი ძალა **მხარეთა** შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.

20.15. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **სტანდარტული პირობებიც** განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.libertybank.ge. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **პირობებთან** მიმართებაში.

**პოს - ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების**
**დანართი №1 უსაფრთხოების ნორმები და ბარათის მიღების ინსტრუქცია**

1. **კლიენტი** ვალდებულია:

1.1. **ბარათით** მომსახურების დაწყებამდე დარწმუნდეს ბარათის ვალიდურობაში;

1.2. **ბარათთან** ან **ბარათის მფლობელთან** მიმართებაში რაიმე ეჭვის შეტანის შემთხვევაში, მოსთხოვოს **ბარათის მფლობელს** პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ბარათზე არსებული მფლობელის სახელი და გვარი უნდა დაემთხვეს წარმოდგენილი დოკუმენტის მონაცემებს, ხოლო მფლობელის გარეგნობა უნდა შეესაბამებოდეს დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათს, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბარათი** გადახდისთვის არ მიიღება;

1.3. პინის გარეშე, მაგნიტური ზოლით განხორციელებულ **ტრანზაქციის ქვითარზე** მოაწერინოს მომხმარებელს ხელი;

1.4. იმ შემთხვევაში, თუ მაგნიტური ზოლით განხორციელებული **ტრანზაქციის** თანხა აღემატება 100 (ასი) ლარს მოითხოვოს პირადობის მოწმობა და მოწმობის ნომერი დააწეროს ამობეჭდილ ქვითარს;

1.5. მაგნიტურზოლიანი **ბარათის** გატარებისას, გადაამოწმოს **ქვითარზე** დატანილი მომხმარებლის სახელი, გვარი და ბარათის ბოლო 4 ციფრი **ბარათზე** არსებულ ინფორმაციას;

1.6. **ბარათის მფლობელის** მიერ საბარათე **ქვითარზე** დაფიქსირებული ხელმოწერა შეადაროს ბარათზე დატანილ ხელმოწერასთან;

1.7. იმ შემთხვევაში, თუ **ბარათის** ხელმოწერის პანელზე არ არის **ბარათის მფლობელის** მიერ ხელი მოწერილი: ობიექტი ვალდებულია **ქვითარზე** დააწეროს **ბარათის მფლობელის** პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი; სთხოვოს **ბარათის მფლობელს** ბარათზე ხელის მოწერა. უარის მიღების შემთხვევაში არ მიიღოს **ბარათი** ან სთხოვოს სხვა ხელმოწერილი **ბარათით** გადახდა;

1.8. **ბარათების** მომსახურება განახორციელოს წინამდებარე **ხელშეკრულებით** მოცემული წესების მკაცრი დაცვით;

1.9. დაიცვას საბარათე ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის სრული კონფიდენციალურობა;

1.10. სტოპ-სიაში მოხვედრილი **ბარათების** გამოყენების მცდელობის შემთხვევაში **ბარათით** მოსარგებლე პირს ჩამოართვას ბარათი და აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს **ბანკს**; ჩიპური **ბარათით** არ განახორციელოს **ტრანზაქცია** მაგნიტური ზოლით;

1.11. არ გადასცეს **პოს ტერმინალები** და არ მისცეს მათი გამოყენების უფლება მესამე პირებს;

1.12. ბანკის ნებართვის გარეშე არ გადაიტანოს **პოს ტერმინალი** სხვა ობიექტში ან ფილიალში;

1.13. არ მიიღოს **ბარათი** იმ მომსახურებისთვის, რომელიც არ არის განსაზღვრული **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** #1 **დანართით** (მომსახურების ტარიფები);

1.14. არ მოახდინოს ბარათის ნომრის მოთხოვნა იმ მომსახურებისთვის, რომელიც არ არის განსაზღვრული **პოს-ტერმინალით მომსახურების ხელშეკრულების** #1 **დანართით** (მომსახურების ტარიფები);

1.15. გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს მისთვის სარგებლობაში გადაცემული **პოს ტერმინალი** და მისი აქსესუარები. არ მოახდინოს **პოს ტერმინალის** რაიმე ტექნიკური და პროგრამული ცვლილებები, ხოლო **პოს ტერმინალის** გაუმართაობის ან/და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკონტაქტო ნომერზე;

1.16. არ დაუშვას **ტერმინალთან** უცხო პირის წვდომა და რეგულარულად ამონიტორინგოს მისი დაცულობა;

1.17. **ბარათის** მფლობელისგან არ მოითხოვოს ინფორმაცია პინის შესახებ;

1.18. გადახდა ჩათვალოს წარმატებით დასრულებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამობეჭდილ ქვითარზე წერია - „დადასტურებულია, პასუხის კოდი 000 ან 001“;

1.19. არ მოემსახუროს/არ გაატანოს ნივთი **ბარათის** მფლობელს თუ ამობეჭდილ **ქვითარზე** პასუხის კოდი განსხვავებულია 000 და 001-სგან.

1.20. ყოველთვის გადაამოწმოს ამობეჭდილ **ქვითარზე** არსებული **ტრანზაქციის** თანხა და შეცდომის დაფიქსირებისთანავე უზრუნველყოს კორექტირება;

1.21. არ დაუშვას გადახდის ოპერაციის ჩატარება **ბარათის** მფლობელის მეთვალყურეობის გარეშე.